პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
სამშაბათი
28 ოქტომბერი
№ 248 (17891)
ფასი 2 კაპ.

გამარჯვება ნუ მოგშლოდეთ

ქ. ბაქოში მიმდინარე მწერალთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი კონფერენციის „ხალხთა მეგობრობა — ლიტერატურათა მეგობრობა“ — პოსტულატები

გულითადად მივესალმები ქ. ბაქოში მიმდინარე მწერალთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი კონფერენციის მონაწილეებს, რომელიც ეძღვნება სიტყვის ოსტატთა ამოცანებს საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის საქმეში.

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განვითარება განუყრელია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ბრძოლისაგან კომუნიზმის გამარჯვებისათვის. იმ დიადი იდეალების სამსახური, რომლებიც ყოველთვის შთააგონებდნენ საბჭოთა ადამიანებს მამაცური შრომისა და მხედრული გმირობისათვის, არის ჩვენი მხატვრული კულტურის სული და გული, მისი პატრიოტული და ინტერნაციონალური შინაარსის წყარო.

დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნის საქმეები და საზრუნავი კვლავაც იქნება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ლიტერატორთა უურადღების ცენტრში, თქვენი ნაწარმოებები კი შემდგომშიაც განუმტკიცებენ მკითხველებს აქტიური მოქალაქეობრიობის გრძნობას.

წარმატებას ვუსურვებ თქვენს კონფერენციას. გამარჯვება ნუ მოგშლოდეთ შემოქმედებითი გეგმების განხორციელებაში.

ლ. ბრეჟნევი.

ადამიანი, ტრადიცია, წარსული და სინამდვილე

დადამიანებზე რომ ზრუნავს, პარტია არასოდეს არ ივიწყებს ხალხთა კეთილ ტრადიციებს, მის გმირულ ისტორიას, უფრო მეტიც, ყოველნაირად ცდილობს ის, რაც კარგი და მისაღებია ხალხის წიაღში, დღევანდელობის შუქით შემოსოს, აწმყოს დაუკავშიროს, ხოლო ყოველივე დრომოჭმული და ნეგატიური საზოგადოებას ჩამოაშოროს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ნოემბრის დადგენილებაში „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ აკი საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ კომუნისტური პარტია საჭიროდ ცნობს სათუთად, შერჩევით მივუდგეთ წარსულის ტრადიციებს, ნიმბილისტურად, ტყუილუბრალოდ არ უარყოთ რამე. ამ დადგენილებაში ღრმა ანალიზზე დაყრდნობით უარყოფილ იქნა ყოველივე მავნე და ძველი, კეთილი ტრადიციების სწოროგად ქცევით წესჩვეულებები, აგრეთვე ის რელიგიური თუ საკულტო დღესასწაულები, რომლითაც უმეტეს შემთხვევაში საქმოსნები, კომბინაციორები და წამალჯიბები ითბობდნენ ხელს. ამ დადგენილებამ და აგრეთვე მომდევნო ხანებში მიღებულმა გადაწყვეტილებამ „რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების მდგომარეობისა და ამ საქმის გაუჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, თამამად უნდა ითქვას, კოლოსალური, არსებითი და გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის გმირული ისტორიისადმი, მისი კეთილი ტრადიციებისადმი ზრუნვისა და ახალი საბჭოური ტრადიციების დანერგვის საქმეში. ეს იყო მასების სულში წყდომის ნათელი დადასტურება.

ქართველი ხალხი, რომელიც კარგად იცნობს თავის წარსულს, მის გაკვეთილებს, სიამაყით ინახავს რა გმირი მშრომელი და მებრძოლი წინაპრების მაგალითს, ნათლად ხედავს და აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. ამ გრძნობით იზეიმა ჩვენი დედაქალაქის, და საერთოდ, რესპუბლიკის მოსახლეობამ მეორედ სახალხო დღესასწაული „თბილისქალაქობა“, მან ნათლად წარმოგვიხატა ის დიდი მატერიალური და სულიერი აღმავლობა, რომელიც დღეს რესპუბლიკაში სუფევს, ხალხის კეთილდღეობისათვის რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ბეშმარიტად ლენინური ზრუნვის მასშტაბურობა. „თბილისქალაქობამ“ გვიჩვენა, თუ რა ძალა აქვს მეგობრობას, ძმობას, შემოქმედებითს შრომას. მან თავისი გრანდიოზულობით, ძველი და ახალი ტრადიციების შერწყმით, პატრიოტული და ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით მართლაც უჩვეულო მასშტაბები მიიღო. ეს ზეიმობა თავისებური გვირგვინია წარსულისა და დღევანდელობის პატივისცემისა, - რაც თვალნათლივ დაინახა ზეიმზე გამოსულმა თბილისმა. ზეიმი, დღესასწაული კი სწორედ ასეთი გვეხმის — ხალხმა უნდა აიტაცოს, შეითვისოს, მოუაროს, წლები გამოატაროს და ტრადიციად აქცეოს იგი. დღესასწაული — ეს ზღვა სიხარულის, ათასი ფერის, შრომაში მოპოვებული წარმატების ნათელი ემოსნსტრაცია უნდა იყოს და მასში თითოეული მოქალაქე უნდა ბედავდეს საკუთარ ნაღვაწ-ნაფიქრალს, უნდა გრძნობდეს საკუთარ პატრიოტულ ვალს, მოყვასის სიყვარულს, რომ მეორე დღეს უფრო ღრმა რწმენით, უფრო მკვეთრად აზენებდეს ნათელ მომავალს. „თბილისქალაქობა“ სწორედ ასეთი დღესასწაული გახლდათ. ყოველივე ამის გამო შეუძლებელია საგანგებოდ არ აღინიშნოს ხაჭართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის და ხახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ გაწეული დიდი პოლიტიკურ-ორგანიზატორული საქმიანობა, ის დიდი მეცადინეობა და წვლილი, რომლითაც გამოიჩინეს თავი ამ ზეიმის მოწყობაში რესპუბლიკის პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში დედაქალაქის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევენ ახალი საბჭოური ტრადიციების დანერგვას, განუხრელად ზრუნავენ დედაქალაქის ისტორიული და კულტურული ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის. სწორედ ამის ჩინებული მაგალითია ძველი თბილისის უბნებისათვის ახალი სიცოცხლის, პირველადი ხახის დაბრუნება. რეკონსტრუქცია-რეგენერაცია კი აკლავ გრძელდება.

ვახსენებთ რა „თბილისქალაქობას“, ახალ საბჭოურ ტრადიციად ქცეული დღესასწაულების დაწესების საშვილიშვილო საქმეში თავისი წილი დამსახურება უნდა მივაგოთ „მცხეთაქალაქობას“, „გორეჯობას“, „ფოთქალაქობას“, „ახალ ალავერდობას“, „ზარზმობას“, „საფარობას“ და რაღა თქმა უნდა „ზოთაობას“, „ილიაობას“ და „ვაჟაობას“, რომლებმაც ამ ჩინებული თაოსნობის პიონერების როლი შეასრულეს. თითოეულ ამ დღესასწაულში, რომელშიც შინაარსიანად არის შერწყმული გმირული მყოფადი და ნათელი აწმყო-მომავალი, ჩვენი შრომითი და კულტურული მიღწევები, ძალზე დიდია პარტიის რაიონული კომიტეტების, აღმასკომებისა და საერთოდ მოსახლეობის ღვაწლი და რუდუნება. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პარტიის მცხეთის, საგარეჯოს, თელავის, ყაზბეგის, ახალციხის რაიკომებისა და ფოთის საქალაქო კომიტეტების გაწეული ეზრომა და გამოცდილება. სულ ახლახან ჩინებული ორგანიზაცია გაუკეთა „საშვილიდობას“ — ამ მეტად საჭირო ახალ საბჭოურ დღესასწაულს პარტიის თეთრიწყაროს რაიკომმა. ზემოთ ჩამოთვლილ რაიონებში წარმატებით შეძლეს ძველი დღესასწაულების ნაცვლად წინა პლანზე წამოიწიათ ახლებური, საბჭოური შინაარსის მქონე სახალხო ზეიმები, რომლებიც თავისი ფორმითაც იმდენად ორის გააზრებული, რომ ტრადიციად ქცევის იმედსა და საფუძველს გვაძლევს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთჩამოთვლილი რაიონებიდან მცხეთაში, საგარეჯოსა და ახალციხეში, აგრეთვე გურჯაანსა და ვანში ასევე დიდი გულისყურით ეკიდებიან ისტორიული და კულტურული ძეგლების მოვლა-პატრონობას, რასაც ვერ ვიტყვით მაიაკოვსკის, ნალკის, მეტადრე კი ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და ასპინძის რაიონების შესახებ, სადაც უამრავი ძეგლი გვაქვს. ამ რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ჯეროვნად უნდა შეაფასონ ისტორიისა და კულტურის ძეგლების მნიშვნელობა ახალგაზრდობის პატრიოტულ და ინტერნაციონალისტურ, ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდაში.

ძეგლი ჩვენი ცოცხალი წინაპარია, მას მოვლა სჭირდება, ხოლო მოვლილი ძეგლი მარტოოდენ თვალის გასახარად, სტუმრის გასაცვირვებლად როდი გვჭირდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ კი გვაქვს იმის ჩინებული გამოცდილება, თუ როგორ შეიძლება ესეთ მოვლილ, ნაპატრონებ ისტორიულ ადგილებში ახლებური დღესასწაულების დაწესება, ძეგლისთვის და ადგილის დედისათვის ახალი სიცოცხლის შთაბერვა. ამით ხომ კიდევ უფრო ვრაზავთ მასებს პარტიის გარშემო, კიდევ უფრო ვამტკიცებთ მასებში ფიპოვებულ ნდობას, ავტორიტეტს.

ერთ საკითხზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება: ეს გახლავთ ახალი საბჭოური დღესასწაულებისათვის ხახელის დარქმევა. შინაარსთან ერთად იგი საყოველთაობით და ყოერადობითაც უნდა გამოირჩეოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ ტრადიციებს მყარი ადგილი არ ექნება. ასე მაგალითად, ყოერადობითა და მასშტაბურობით „ზოთაობა“, „ილიაობა“, „ვაჟაობა“ და „ხაბაობა“ თუ უნკოლოა, იგივეს ვერ ვიტყვით — „შემოქმედობაზე“, „კონსტანტინობაზე“, „ტარასობაზე“, „იაკინთოობაზე“, „ერისთაობაზე“ და სხვ. კარგია და მახასხადებელი, რომ ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონს აქვს თავისი გამორჩეული დღესასწაული, რომ ყველგან აფასებენ თავიანთი კუთხისა თუ სოფლის ღირსეულ შვილებს, რომლებსაც ერის კულტურის აყვავებაში თავიანთი წვლილი მიუღვიათ, მაგრამ დღესასწაულებს ფორმაც უნდა განასხვავებდეს ერთმანეთისაგან.

ახალი წესჩვეულებები, საბჭოური დღესასწაულები ხელს უწყობს ადამიანის სულიერი სამყაროს გამდიდრებას, მშრომელებსა და მოზარდ თაობას უნერგავს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მოქალაქეობრიობისა და ეროვნული სიამაყის გრძნობას, ეს კი ჩვენი პარტიის ლენინური ფურნეა. ეს არის ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი ამოცანა. ადამიანი, ტრადიცია, წარსული და სინამდვილე ურღვევ დიალექტიკაშია ერთმანეთთან, იგი დიდ ყურადღებას მოითხოვს, ამ ურადღებას კი ყოველთვის დადებითი შედეგი მოსდევს. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა „თბილისქალაქობამ“. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული საპატიო სტუმრების საერთო აღიარებით ეს ზეიმი სრულიად ახლებური იყო თავისი ხასიათით, ახლებური ესთეტიკა, რომ მასში ახე ბარმონიულად და პოლიტიკური გააზრებით ყო შერწყმული მასებთან ესტეთიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები და სადღესასწაულო განწყობილება.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა ეთიოპიის უმაღლესი ჯილდო

27 ოქტომბერს კრემლში სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ, ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარემ მენგისტუ ჰაილე მარიამმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა ეთიოპიის უმაღლესი ჯილდო — „სოციალისტური ეთიოპიის საპატიო ვარსკვლავი“.

საბჭოთა კავშირის მხრივ დაჯილდოებაზე იყვნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი და სხვა ოფიციალური პირნი; ეთიოპიის მხრივ ესწრებოდნენ მენგისტუ ჰაილე მარიამის თანმხლები სახელმწიფო მოღვაწენი.

ჯილდოს გადაცემისას გამოვიდა ამხანაგი მენგისტუ ჰაილე მარიამი.

ამხანაგ მენგისტუ ჰაილე მარიამის გამოსვლა

ამხანაგო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურო მდივანო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ!

დიდი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით მომხდარმა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ იერ-ხანს შეუცვალა ჩვენს პლანეტას, სათავე დაუდო თავისუფლების, თანასწორობის, მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვების ეპოქას, აგრეთვე ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაციის ეპოქას. ამ რევოლუციით, რომელიც გახდა ჩაგრული მასების დროშა, დაიწყო იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, მთლიანად ექსპლოატაციის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ახალი ხანა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ შეარყია ექსპლოატატორული ურთიერთობების მთელი სისტემა, იმპულსი მისცა რევოლუციურ მოძრაობას მთელ მსოფლიოში და მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრების პირობები შეუქმნა მრავალ მილიონ ადამიანს. დიდი ოქტომბერი, რომელიც გახდა მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, არასოდეს წაიშლება იმათი მეხსიერებიდან, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და თავისუფლება. თქვენ, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ, დიდი რევოლუციის შვილი, სიყრმიდანვე ემსახურებოდით თქვენს ხალხს სხვადასხვა პოსტზე. საყოველთაოდ არის ცნობილი თქვენი მრავალი წლის მოღვაწეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე. თქვენი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის დიდი უნარი, თქვენი ცოდნა, პოლიტიკური გამჭრიახობა და ვაჟკაცობა, კომუნისტის დაუღალავი და თანამიმდევული ბრძოლა არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხების, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა კეთილდღეობისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის.

თქვენი სახით უღრმეს მადლობას მოვახსენებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მთავრობასა და ხალხს, რომელმაც დროული და გადამწყვეტი დახმარება გაუწია ეთიოპიის რევოლუციას მისთვის უძნელეს პერიოდში.

ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, ეთიოპიის მთავრობამ და ხალხმა გადაწყვიტეს დაჯილდოებინეთ „სოციალისტური ეთიოპიის საპატიო ვარსკვლავის“ უმაღლესი ორდენით.

რევოლუციური სიამაყის გრძნობას განვიცდი იმის გამო, რომ წიაღად მხედა დიდი პატივი გადმოგცეთ თქვენ, ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ, დიდი საბჭოთა ხალხის გამოჩენილ ხელმძღვანელს, ეს მაღალი ჯილდო ეთიოპიის მთავრობისა და ხალხის სახელით.

✦

შემდეგ გამოვიდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგო მენგისტუ!

ძვირფასო ამხანაგებო!

ვიღებ რა „სოციალისტური ეთიოპიის საპატიო ვარსკვლავს“, მინდა მადლობა გადავუხადო სოციალისტური ეთიოპიის ხელმძღვანელობას და პირადად თქვენ, ამხანაგო მენგისტუ, ჩემთვის გაწეული პატივისათვის.

ამ ჯილდოს მივიჩნევ ჩვენი ქვეყნების ურღვევი მეგობრობის ნიშნად და მივაკუთვნებ მას მთელ საბჭოთა ხალხს, მის ავანგარდს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

განუზრელად იცავენ რა დიდი ლენინის ანდერძს, საბჭოთა ადამიანები ყოველთვის ემხრობოდნენ და ემხრობიან ძალებს, რომლებიც გადაჭრით ებრძვიან იმპერიალიზმსა და რეაქციას, გაბედულად მიაბიჯებენ პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების გზით. მხოლოდ ასეთი პოზიცია შეესაბამება მშვიდობის, დემოკრატიის, მთელი კაცობრობის პროგრესის ინტერესებს.

სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა დღითიდღე სულ უფრო ღრმავდება, ივსება ახალი კონკრეტული საქმეებით სხვადასხვა სფეროებში.

დღეს თქვენს ქვეყანაში შრომობს ბევრი საბჭოთა ინჟინერი, მასწავლებელი, ექიმი, ագოლოგი, სხვა სპეციალისტი. მეგობრული ეთიოპიიდან ჩამოსული ასობით ქალაშვილი და ჭაბუკი კი განათლებას იძენს მოსკოვისა და სხვა ჩვენი ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში. ჩვენ სულ უფრო უკეთ ვეცნობით ერთმანეთს. და ჩვენი მეგობრობა ამით მტკიცდება.

ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო საერთაშორისო პრობლემების, მათ შორის აფრიკის პრობლემებისადმი მიდგომაში.

საბჭოთა კავშირი არ ეძებს თავისთვის რაიმე განსაკუთრებულ უფლებებს ან პრივილეგიებს აფრიკაში, ისევე როგორც სხვა კონტინენტებზე. ჩვენ გვსურს, რომ აქ მშვიდობა და თანხმობა სუფევდეს, რომ აფრიკის ყველა ხალხი სარგებლობდეს თავისუფლების სიკეთით, გახდეს თავისი მიწა-წყლის სიმდიდრეთა ბატონ-პატრონი, რომ აფრიკის კონტინენტის ყველა კუთხეში ამოძირკვლის რასიზმისა და აპარტეიდის ფესვები.

ჩვენ კვლავაც მტკიცედ და თანამიმდევრულად განვახორციელებთ ამ პოლიტიკას.

ვფიქრობ, სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ საბჭოთა კავშირისა და ეთიოპიის მეგობრული ურთიერთობა ამკამად მშვიდობის გავლენიანი ფაქტორია. ეს ურთიერთობა კარგად ემსახურება ჩვენი ხალხების ინტერესებს. და ჩვენი მხრივ, ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა კვლავაც ასე იყოს.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას საპატიო ჯილდოსათვის.

✦

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ეთიოპიის პარტიულმა და სახელმწიფო ხელმძღვანელებმა გულითადად მიულოცეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს სოციალისტური ეთიოპიის უმაღლესი ჯილდოს გადაცემა, უსურვეს მას შემდგომი წარმატებები მრავალმხრივ მოღვაწეობაში ორი ქვეყნის ხალხების მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცების, ქვეყნად მყარი მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

(საკდესი).

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ!

ალვებრითა და ტრანსპარანტებით, ყვავილებითა და მხიარული ღიმილით გაცისკროვნებული ეს დღე მშრომელმა თბილისმა დამკვრელური მუშაობით მოაახლოვა. გამარჯვება მთელი ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის შემდგომი აყვავებისათვის, მისი ადამიანების ბედნიერი მომავლისათვის იქნედობდა.

და აი, ეს გამარჯვება მოპოვებულია — თბილისის მრეწველობის მუშაკებმა სამშობლოს პროდუქციის წარმოების მეათე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულება უპატაკეს.

თუ ადრე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის აღმართვით პატივს მიაგებდნენ საქართველოსა და მისი დედაქალაქის საუკეთესო შრომითს კოლექტივებს, ამჟამად აქ ჯეროვანს მიუზღავენ მთელ მუშა თბილისს. აი ისინი — ორდენებით, მედლებით, საპატიო ნიშნებით დამშვენებულები — რომელთა მარჯვენითაც იქედობდა წარმატება, ვინც ქალაქის სახელო და სამაყო შვილია...

იწყება საზეიმო მიტინგი. ტრიბუნაზე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ნაცვალი ე. ტიაჟელნიკოვი, ამხანაგები პ. გილაშვილი, გ. ეფუქიძე, ა. ინაური, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ო. ჩერქეზია, ზ. ჩხეიძე, ნ. ჭითანავა, ს. ხაბეიშვილი, ბ. ადლეიბა, თ. მოსაშვილი, ფ. სანაკოევი, ე. შარტავა, წარმოების მოწინავეები, საქართველოს დედაქალაქის სტუმრები.

მიტინგზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი. მან თქვა, რომ საქართველოს დედაქალაქის მრეწველობის წარმატება ქვეყნის კომუნისტთა მომავალი XXVI ყრილობით აღფრთოვანებული მუშათა კლასის თავდადებული შრომის შედეგია. წარმატებას სჭედდა ქალაქის ყველა მშრომელი, იგი მეათე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების რეალიზაციისათვის შრომითი კოლექტივების დაძაბული მუშაობის შედეგი გახდა. ამ წლების მანძილზე, აღნიშნა ამხ. მენთეშაშვილმა, თბილისში უზრუნველყოფილია მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპი. წარმოების მოცულობის მატებამ უკვე შეადგინა 38,2 პროცენტი, როგორც გათვალისწინებული იყო საგეგმო დავალებებით ხუთწლედის დამლევისათვის, მაგრამ ქალაქის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად იკისრეს გადიდებული ვალდებულებები, გადაწყვიტეს ხუთწლედის მანძილზე დაეძლიათ სამრეწველო წარმოების გადიდების 41,5 პროცენტის მიჯნა და უკვე ახლოს არიან მიზანთან. ხუთწლედის გასული ოთხი წლის მანძილზე სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ქალაქს ზედიზედ ენიჭებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო აღკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები. 1975 წელთან შედარებით რვაჯერ გაიზარდა სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის სახეობათა რიცხვი, ექვსჯერ — მათი წარმოების მოცულობა. ახლა ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი 21,5 პროცენტს შეადგენს.

თბილისის მშრომელებს დიდი, დამსახურებული გამარჯვება მიეულოცეს ცნობილმა მეზვრემ, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა გ. კენკაშვილმა და პოეტმა მ. ფოცხიშვილმა.

გამოსულებმა აღნიშნეს: ღრმად სიმბოლურია, რომ რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობის მუშაკთა წარმატება დაემთხვა „თბილისობას“ — შრომის, მეგობრობისა და ძმობის დღესასწაულს, იმას, რომ ქალაქის სამრეწველო საწარმოების კოლექტივებთან ერთად სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულება საამშობლოს უპატაკეს საქართველოს მეფნაზეებმა, რომლებმაც მოკრიფეს 781 ათას ტონაზე მეტი ყურძენი. ეს მოწმობს, რომ რესპუბლიკის მშრომელები ერთიანნი შრომითი შემართებით ისწრაფვიან გაუსწორონ დროს, ღირსეული შრომითი ნობათით შეხვდნენ ქვეყნის კომუნისტთა ფორუმს.

შეკრებილთა ტაშის გრიალში კითხულობენ წერილის ტექსტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. წერილში ნათქვამია, რომ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელები, რომლებიც საქმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობენ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებითა და დასკვნებით, ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი დაძაბული სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, საამედო საფუძველს შეუქმნიან მაღალ ეფექტიან მუშაობას მეთერმეტე ხუთწლედის პირველ წელს. დროშასთან მიდიან საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. გაბუნია, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მოწინავე მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. როსტომაშვილი, კამოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მუშა, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ჭემაშვილი, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ილურიძე.

ყღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები და მზით გაცისკროვნებულ ცისკენ ნელ-ნელა აღმართა რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა...

(საქინფორმი).

მეგობრულ ვიზიტად მოსკოვში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 27 ოქტომბერს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე, ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარე მენგისტუ ჰაილე მარიამი.

აეროდრომზე სტუმარს გულთბილად დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

თბილისობა ოქტომბრის დაუვიწყარი დღეა!

1980 წლის 26 ოქტომბერი თბილისი, თბილისელთა, რესპუბლიკის გიოგრაფიაში

თბილისქალაქობის ზეიმზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლთან.
ვ. გენინურის ფოტო.

მთელი ქალაქი გამოვიდა ქუჩებში — ეს გაზეთდება კი არა, ფაქტია თბილისის ცხოვრებაში, რომელიც ქალაქის ქრონიკაში 1980 წლის 26 ოქტომბრის კვირა დღით არის აღნიშნული. ამ დღეს ტრადიციულმა სახალხო დღესასწაულმა თბილისობამ, რომლის დეგიზია „თბილისი — მეგობრობისა და ძმობის ქალაქი“ და რომელიც ჩვენს დედაქალაქში უკვე მეორეჯერ იმართება, თავის უზარმაზარ „აუდიტორიაში“ შეიკრიბა ოთხას სამოცი ათასი თბილისელი. კიდევ რამდენიმე ათასი კაცი გამოგზავნეს დღესასწაულზე რესპუბლიკის რაიონებმა. თბილისობაზე ჩამოვიდნენ მოსკოველი, ერევნელი, ნოვოსიბირსკელი სტუმრები, აქვე იყვნენ ლუბლიანელი და ბუდაპეშტელი სტუმრებიც; სადღესასწაულო კონცერტების მონაწილე შვიდი ათას პროფესიონალ და თვითმოქმედ მსახიობს შორის იყო ბულგარეთის ახალგაზრდული ქორეოგრაფიული კოლექტივი.

დღესასწაულის მასშტაბს ადასტურებს მისი სიგრძეც — ვაკის ქართული ხალხური არქიტექტურისა და ყოფა-ცხოვრების პარკ-მუზეუმიდან თბილისის ზღვამდე, იპოდრომიდან ავჭალის გზატკეცილამდე. ზეიმობამ მოიცვა რამდენიმე დღესასწაულობა: შრომაში გამარჯვებას აღნიშნავდნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები; დღესასწაულზე ადგილი მოინახა ბავშვებისა და ახალდაქორწინებულებისთვიც; ოქროს შემოდგომის ბარაქა და ქართული შემოქმედების პატიოსანი თვლები აღტაცებულ მოქალაქეთა თვალწინ ერთმანეთს გადაეწნა.

მთელი ეს დღე თბილისელებთან და მათ სტუმრებთან გაატარეს, შეხვდნენ და ესაუბრნენ მათ, ეწვივნენ და დაათვალიერეს ზეიმების ადგილები, მონაწილეობდნენ მასში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ე. მ. ტიაჟელნიკოვი, ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ე. კ. შარტავა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, ქალაქის ხელმძღვანელები და მინისტრები.

ეს იყო დაუვიწყარი დღე, და მასზე დაწვრილებით უნდა ვილაპარაკოთ.

დღესასწაულის საფუძველი

ᲬᲘᲜᲐᲓᲚᲘᲗ სასიხარულო ამბები მოვიდა: „საქართველოს მევენახეებმა 781.349 ტონა ყურძენი დაამზადეს... თბილისის მრეწველობამ ხუთწლიანი გეგმა შეასრულა...“

მეტეოცნობა სადღესასწ

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

მეცხოველეობას — მთელი გულისყური!

რა გაკეთდა ზემომაჩხაანელმა კომუნისტებმა

ძნელია ერთ კრებაზე. აქ გაკეთებულ მოხსენებასა თუ კამათში სრულად, ყოვლისმომცველად და ამომწურავად ასახო შრომითი კოლექტივის, მისი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის ყველა მხარე, ავ-კარგი. მით უმეტეს ისეთი დიდი და ღონიერი სოციალისტური სოფლისა, როგორიც არის ზემო მაჩხაანი და მისი ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა, რომელიც თავის რიგებში 1.500-ზე მეტ შრომისუნარიან წევრს, ხოლო პირველადი პარტიული ორგანიზაცია 190 კომუნისტს აერთიანებს. ამ კოლმეურნეობას აქვს 29.300 ჰექტარი მიწა, 6.250 ჰექტარი სახნავი, 1.600 ჰექტარი ვენახი, ბაღი 3.000 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 37.800 სული ცხვარი, ღორი, ფრინველი და ა. შ. კოლმეურნეობის ყოველწლიური ფულადი შემოსავალი 6-7 მილიონ მანეთს აღწევს. აქაურ მშრომელებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ არა მარტო წითალწყაროს რაიონის, არამედ მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის წარმატებებშიც.

ეს მართლაც ერთობ რთული ცოცხალი მექანიზმი და ამდენად ძნელია ყველასა და ყველაფერზე ლაპარაკი. და სწორედ ამ დროს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა იმას, რომ პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომლის მუშაობაში, ისე როგორც სარკეში, აირეკლება განვლილ საანგარიშო პერიოდში პარტიული კომიტეტის მიერ გაწეული მთელი პარტიულ-პოლიტიკური, სამეურნეო-ორგანიზაციული თუ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ყურადღება მიეკაროთ ყველაზე მთავარს, ყველაზე არსებითს, მთლიანად რომ ასახავს მეურნეობაში არსებულ ვითარებას და განსაზღვრავს მისი შემდგომი განვითარება-აღმასვლის პერსპექტივებს.

სწორედ ასე მოხდა ამ დღეებში აქ გამართულ წლის მთავარ კრებაზე. პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. ლეკაშვილმა წარმოადგინა პარტიული კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელშიც საფუძვლიანად იყო გაანალიზებული კოლმეურნეობაში, პარტიულ ორგანიზაციაში ამ მხრივ და ამ მიზნით მომხდარი ძვრები, პარტიული კომიტეტის, მისი წევრების, საბრიგადო პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების, თითოეული კომუნისტის მიერ გაწეული საქმიანობა. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა კრიტიკულად იმსჯელეს პარტიული კომიტეტის მუშაობაზე, დავალებათა განაწილების, შესრულების შემოწმების, კომუნისტთა ავანგარდული როლის, მინდობილი საქმისადმი პერსონალური პასუხისმგებლობის, დისციპლინის და სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე.

დიახ, კრებაზე პრინციპული, საქმიანი საუბარი და განსჯა იყო კოლმეურნეობის მშრომელთა წინაშე მდგომ პრობლემებზე, მომავლის ამოცანებზე, მაგრამ მაინც განსაკუთრებით გამოიკვეთა ერთი საკითხი — მეცხოველეობა. სწორედ იგი და ამ დარგის კომუნისტთა საქმიანობა იყო კრების მონაწილეთა ყურადღების ცენტრში.

პროგლემები ერთ ფოკუსში

რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სწორედ მეცხოველეობაში შეინიშნება უფრო მეტი ხარვეზები, ჩავარდნები, უყაირათობა თუ დანაშაული. იმიტომაც, რომ ზემომაჩხაანელები ოდითგანვე მისდევდნენ, უყვართ ეს დარგი და ამდენად მტკივნეულად განიცდიან აქ არსებულ ჩავარდნებს, ნაკლოვანებებს...

განსაცდელი კი მართლაც ადგილია. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. ამაზე მაჩხაანელებს გული სტკივათ, რცხვენიათ კიდეც. ჩვენ მოგვცემთ რძესო, დაპირდა ზემო მაჩხაანელებს კოლმეურნეობა, და აბის იმედით სოფელში ხალხმა, რომ იტყვიან, ძროხის სინსილა გაწყვიტა. მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა და ახლა კოლმეურნეობა ვერც ქალაქს აწვდის საჭირო რაოდენობის რძეს, ხორცს და ვერც თავის წევრებს აკმაყოფილებს(!)

ამას, თურმე ენ იტყვით და, საქმის ინტერესებისათვის აკეთებდა ზოგიერთი — კერძო პირუტყვის შენახვაზე მოსცდებითო(?)!. მაგრამ რა გამოვიდა?

ზემომაჩხაანელი კაცი თუ ქალი, დილის 5-6 საათზე სამუშაოდ რომ გადიოდა, ჯერ კოლმეურნეობის სავაჭრო წერტილი რძის რიგში უნდა ჩამდგარიყო, მიეღო რძე, მოეარა. მისთვის, შემდეგ კი სამუშაოდ წასულიყო. უქმად იკარგებოდა დილის ძვირფასი სამუშაო საათები.

ასეთი „თაოსნობის“ შედეგიც არის, რომ თუ მანამდე სოფლიდან 12-13 ნახირი გადიოდა საძოვრად, ახლა 100-მდე სულ ძროხას ძლივს დაითვლი. ამკამად საქმე სწორდება, მაგრამ ძნელად. ის ადგილები, სადაც წინათ ძროხა ბალახობდა, ჯიქნებს ივსებდა და ხალხს პროდუქტს აძლევდა, ყავავილნარმა, ან სხვა რამემ დაიკავა. ახლა კი პირიქით უნდა მოხდეს. მოხდეს იმიტომ, რომ ადამიანს უპირველესად სჭირდება საარსებო საშუალებანი —ხორცი, რძე, კარაქი თუ სხვა რამ.

ამ საკითხს პარტიული კომიტეტი, კოლმეურნეობის გამგეობა, კომუნისტები ჯანსაღი თვალით უყურებენ. კოლმეურნეებს სოფლის ირგვლივ გამოუყვეს საძოვრები, აგრეთვე ნაკარბი ნამჯა, თივა, სილოსი.

დიახ, მდგომარეობა სწორდება და ამ საქმეში კომუნისტებმა გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან. სწორედ ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული გ. ბენაშვილის, ი. ნატროშვილის, გ. ბიკაშვილის გამოსვლა, რომლებმაც თქვეს: ჩვენ კომუნისტები ვართ და უპირველეს ყოვლისა სწორედ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ შევასრულოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ წამოყენებული ლოზუნგი — „საქართველოს შეუძლია და კიდევაც უნდა გახდეს მეცხოველეობის მოწინავე რესპუბლიკა!“

კრებაზე ითქვა და საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზემო მაჩხაანის ცხვარ-ძროხას გარკვეულწილად სხვა რაიონებიდან და სოფლებიდან მოსული ხალხი მწყემსავს. აქ კი მიიღეს ზოგიერთები კოლმეურნეობის წევრად, შრომობენ და სარგებლობენ ყოველგვარი სიკეთით, მაგრამ ცხოვრობენ აზმეტაში, საგარეჯოში თუ სხვაგან. მეტ დროს სახლში წასვლა-წამოსვლას ანდომებენ.

— სწორედ ეს, აგრეთვე დარგის ხელმძღვანელების, სპეციალისტების — ზოოტექნიკოსების, ვეტექიმების უყაირათო, მოუქნელი მუშაობის შედეგია, — თქვა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ, პარტიული კომიტეტის წევრმა გ. ბიკაშვილმა, — რომ მეძროხეობის ფერმამ ვერ შეასრულა წლევანდელი 9 თვის დავალება. 2.805-ის ნაცვლად მხოლოდ 2.140 ტონა რძე დაამზადა. ჩვენ ძროხებს უჩნდება ისეთი საშიში დაავადებანი, როგორიც არის ბრუცელოზი, ტუბერკულიოზი. მარტო წელს ამის გამო სარძევე ბრიგადებს გამოაკლდა 143 სული ძროხა, კოლმეურნეობამ დაკარგა 80 ტონაზე მეტი რძე.

პირადი მაგალითის ფასი

მეტად დამაფიქრებელია, რომ კომუნისტთა ყველაზე მცირე ნაწილი იღებს მეცხოველეობის ფერმებში. რამდენი კომუნისტი, კომკავშირელი ზავდა საანგარიშო პერიოდში მეცხოველეობაში სამუშაოდ?! აი, ამის მიხედვითაც უნდა შეფასდეს დღეს პარტიული კომიტეტის, კომკავშირული ორგანიზაციის თუ კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობა, თქვეს კრების მონაწილეებმა.

კოლმეურნეობა ათასობით მაღეს ზარალობს აგრეთვე უხარისხო პროდუქციის— ხორცის, რძის, მატყლისა თუ ტყავის წარმოების გამო. მოიყვანეს იმის კონკრეტული მაგალითები, როცა ერთიდაიგივე პირობებში ერთნი ღებულობენ მაღალი ხარისხის პროდუქციას, მეორენი მდარეს, უხარისხოს და ამით ამცირებენ კოლმეურნეობის საერთო მაჩვენებლებს, მის ეკონომიკას. მაგალითად, მერძევეობის იმ ბრიგადაში, რომელსაც კომუნისტი ვ. ნატროშვილი ხელმძღვანელობს, სახელმწიფოსათვის მიყიდული რძის 92 პროცენტი პირველი ხარისხისაა. იმ ბრიგადაში კი, რომელსაც ე. ნატროშვილი უძღვება, ნახევარზე მეტი მეორე ხარისხისაა. ასეთივე კონტრასტულია ამ ბრიგადებში ნამატის მიღება-შენარჩუნების, პიროუტყვის დაკვლა-დაცემის მაჩვენებლები.

კამათის მონაწილეებმა ი. ბოსტოღანაშვილმა, ვ. ნატროშვილმა და სხვებმა სწორედ ეს მიიჩნიეს ერთ-ერთ საფიქრალ-საზრუნავად. ყველა კომუნისტი რომ ასრულებდეს საწესდებო მოვალეობას, თქვეს მათ, პარტიული კომიტეტი კი მკაცრად მოითხოვდეს ამას მათგან, ისმენდეს მათს ინფორმაციებს, აძლევდეს სათანადო მითითებებს, ნაკლოვანებები, ხარვეზები გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

კრებაზე განაზოგადეს კომუნისტი მწველავის რ. ჯანაშვილის სამაგალითო მუშაობა. იგი ოცი წელია ამ საქმეს ემსახურება, დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს, თითოეული ფურიდან საშუალოდ 3.500-4.000 კილოგრამ რძეს იღებს. ამავე დროს იგი თავის გარშემო იკრებს და ზრდის სიმამედო ცვლას. ამის მაგალითია საშუალო სკოლადამთავრებული იგორ მოსულიშვილი, რომელმაც შეიყვარა და შეისისხლხორცა მწველავის პროფესია, მეტოქეობას უწევს ყველაზე გამოცდილ მწველავებს.

რ. ჯანაშვილის საპირისპიროდ მოიყვანეს კომუნისტ გ. დათუკაშვილის, მეცხვარე ბრიგადირის მაგალითი, თქვეს, რომ იგი პირადულის გარდა ვერაფერს ხედავს, არად დაგიდეს საზოგადოებრივ ქონებას. პირიქით, კოლმეურნეობის ათი სული ცხვარიც კი მიისაკუთრა...

დავგეგმოთ სწორად, ვიცოდეთ ყაირათი

ახლახან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც ძირითადად მოიწონა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „...არის არცთუ ისე ცოტა მეურნეობაც, მთელი ოლქებიც კი, სადაც კაპიტალდაბნდებანი იზრდება, პროდუქციის წარმოებას კი მთელი რიგი წლების მანძილზე საშველი არ ადგება“.

სწორედ ამას გულისხმობდნენ კრების მონაწილეები, როცა თქვეს, რომ კოლმეურნეობას მძიმე ტვირთად აწევს ისეთი დიდი მეცხოველეობის კომპლექსის დაფინანსება და მშენებლობის გაჭიანურება, როგორიც არის ოლის 600-სულიანი საძროხე კომპლექსი. იგი მოგებას კი არ აძლევს, არამედ აზარალებს კიდეც კოლმეურნეობას. ხარისხიც არ ვარგა — რაც აშენდა, ისიც ინგრევა(!)

ამიტომაც იყო, რომ კამათში გამოსულმა კომუნისტებმა პარტიულ კომიტეტს, კოლმეურნეობის გამგეობას მოსთხოვეს, რომ ისინი უფრო პრინციპულად უნდა აყენებდნენ საკითხს გურჯაანის სამშენებლო ტრესტის (მმართველი ვ. კუპრაძე) და, საერთოდ, მშენებლობის სამინისტროს წინაშე.

კრებაზე მსჯელობის საგანი გახდა დაგეგმვის ისეთი მცდარი პრაქტიკა, რომლის შესახებაც იყო ლაპარაკი ამ დღეებში გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. კომუნისტებმა თქვეს ისეთ შემთხვევებზე, როცა არ ხდება დიფერენცირება, საშუალებათა მაქსიმალური გათვალისწინება, მოწინავე პოზიციებზე ორიენტირება; ცალკეულ შემთხვევაში, ანგარიშს უწევენ არა ობიექტურ პირობებს, არამედ სუბიექტს — პირადებს. მოიყვანეს ამის მაგალითი: მინდორ-ვაკეში მევენახეობის ბრიგადებს (ბრიგადირები — გ. ჯამასპიშვილი, თ. ტოკლიკიშვილი) მხოლოდ გზა ჰყოფთ, და ამდენად ერთნაირი პირობები აქვთ, მაგრამ ერთ მათგანს დაგეგმილი აქვს ჰექტარზე საშუალოდ 106, ხოლო მეორეს 75 ცენტნერი ყურძენი. ასეთი რამ ხდება მემინდვრეობაშიც, მეცხოველეობაშიც...

კამათი მართლაც საქმიანი იყო, მაგრამ ყველა გამომსვლელის, კომუნისტის სიტყვა როდი იყო გამიზნული, აწონ-დაწონილი, საერთო საქმისათვის საჭირო და სასარგებლო. სელექციონერმა ზოოტექნიკოსმა ი. ნატროშვილმა ვრცლად ილაპარაკა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს კომუნისტი, როგორ უნდა ასრულებდეს საწესდებო მოვალეობას, როგორ ზრდიდეს კადრებს და სხვა, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს იმის შესახებ, თუ რას აკეთებს პირადად ამისათვის, როგორ მუშაობს თვითონ, როგორც სელექციონერი. მას არაფერი უთქვამს იმაზე, რატომ მოხდა, რომ 1979 წელს ყოველ 100 სულ ძროხაზე მიღებულია 73, წელს კი მხოლოდ 57 სული ხბო, რატომ იღებენ არაჯანსაღ, დაკნინებულ თაობას, რატომ წყდება დიდძალი პირუტყვი, განსაკუთრებით მოზარდი? რატომ მიიღეს წელს საგეგმოზე 900-ით ნაკლები გოჭი, რამაც კოლმეურნეობას დაახლოებით 250 ტონა ხორცი დააკლო?..

* * *

პირუთვნელი კრიტიკა, საქმიანი მსჯელობა, კრებაზე რომ გამართა, არ შემოფარგლულა მხოლოდ ვიწრო, საკოლმეურნეო ჩარჩოებით. კომუნისტები საკითხებს აყენებდნენ რაიონული, რესპუბლიკური მასშტაბის ორგანოების წინაშე. მას ისმენდნენ და სათანადო განმარტებას აძლევდნენ კრებაზე დასწრე მათივე წარმომადგენლები — საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ქ. უარაულაშვილი და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ შეაფასა პარტიული კომიტეტის, მთლიანად პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობა, აირჩია კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა, მან ზემომაჩხაანელ კომუნისტებს ამცნო და მიუღოცა ის დიდი გამარჯვებანი, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს ჩაის, ყურძნის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში, თქვა, რომ ამ გამარჯვებებში დიდია წითელწყაროს რაიონის, კერძოდ, ზემო მაჩხაანის, ამ გიგანტი მეურნეობის წვლილი. ამხ. ჯ. პატიაშვილმა კომუნისტთა ყურადღება გაამახვილა იმ მიჯნებზე, ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ყრილობისწინა სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეებმა, აგრეთვე იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლის ხუთწლიანი დავალების შესრულებას. მან მოუწოდა, რომ ყველა საწარმოო ბრიგადის კოლექტივმა თუ მშრომელმა სათანადოდ გააანალიზონ გაწეული მუშაობა, მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული რეზერვები წლევანდელი და მთლიანად ხუთწლიანი ამოცანების განსახორციელებლად.

ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ავტომანქანის საჭესთან

ლანჩხუთელთა მეთოდი მოქმედებს

ზოზერი ნიადაგდღე ავტომანქანის კაბინაში საჭეს უზის და იქიდან უცქერის ამ ქვეყანას. ცხადია, საჭესთან მჯდომს, უფლება არა აქვს გრძნობებს აჰყვეს, სამუშაო აქვს ასეთი და იმიტომ, მაგრამ ერთი კი მისთვის, როგორც სხვა ყველასათვის, საერთოა — ეს არის მინდობილი საქმის სიყვარული და ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა. კარგი მოფერი, მით უმეტეს სოფლად, სატვირთო მანქანაზე, უფრო ზუსტად კი თვითმცლელზე მომუშავე შრომისმოყვარე ხომ უნდა იყოს და იყოს, გულიც რაინდული უნდა ჰქონდეს, საერთო საქმეს შეეხებულ კაცს რომ სჭირდება ისეთი, ასეთ კაცზეა ხოლმე დამოკიდებული მინდვრის შრომელთა მიერ მოწეული ჭირნახულის დროზე დაბინავება, საკეთო საქმისათვის საჭირო სამშენებლო ტვირთის გადატანა და სხვა ათასი რამ... ლანჩხუთის ავტოსატრანსპორტო კანტორას არა ერთი საქმეზე თავდადებული მძღოლი ყავს. „კომუნისტის“ მკითხველისათვის წარსადგენად მათგან გერმანე გიორგაძე შევარჩიე — პარტიის ლანჩხუთის რაიკომის წევრი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი, „საპატიო ნიშნისა“ და „ოქტომბრის რევოლუციის“ ორდენების კავალერი, პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრი და შესანიშნავი შოფერი.

ჯერ პირად საქმეში ჩავიხედე.

ბრძანება № 249, 1968 წლის 31 დეკემბერი: — „მძღოლ გერმანე გიორგაძეს წულუკიძის რაიონში, მდინარე ცხენისწყლის სანაპიროს გამაგრებაზე თავდადებული მუშაობისთვის გამოეცხადოს მადლობა და დაჯილდოვდეს ფულადი პრემიით“.

შემდეგ კიდევ და კიდევ მადლობა.

ამ ქებული ავტომძღოლის შრომით საქმიანობაზე ნათელი წარმოდგენა რომ შემექმნა, მდინარე ცხენისწყლის ნაპირები მოვინახულე, ვნახე ის ადგილი, სადაც შოფერმა თავი გამოიჩინა. მშენებლებს მართლაც დიდი საქმე გაუკეთებიათ, საგულდაგულოდ გუმაგრებიათ მდინარის ნაპირები, რომ წყალდიდობის დროს ნაყოფიერი მიწები აღარ დაიტბოროს, ზიანი არ მიაყენოს ადამიანსა და მინდვრებს, ბაღ-ვენახებს, ბოსტნებს.

თორმეტი წლის წინანდელ ნაკვალევს კი არა, ზოგჯერ შარშანდელს ვეღარ იპოვი კაცი. იმ ადგილას ცხენისწყალი რომ უხვევს და სწორ გზაზე გაივაკებს, დიდი სისწრაფით მოეფინება. ეს ახლა, როცა მდინარის კალაპოტში იმის მესამედი წყალი არ არის, რაც ათას ცხრაასს სამოცდარვა წლის სუსხიან დეკემბერში იყო. მაშინ აქ ადიდებულ ცხენისწყალთან პირველად შეჭიდებას ვერავინ ბედავდა, რომ ლოდები ჩაეყარათ მდინარეში. გამბედაობასთან ერთად საზრიანობაც იყო საჭირო. აი სწორედ მაშინ გამოჩნდა გერმანეს ვაჟაკაცური გამჭრიახობა, ლოდებით დატვირთული თვითმცლელით მდინარეს შეება. ერთი დაუფიქრებელი მოძრაობა და... ადიდებული მდინარე მანქანას წაიღებდა. არც ამას იკმარებდა, შესაძლო იყო თვით შოფერსაც ვერ გამოესწრო და ზამთრის სუსხში ცივ წყალში დაღუპულიყო. პირველმა გერმანემ მიაყენა თავისი მანქანა მდინარეს და ძარიდან დიდი ლოდები წყალში ჩაყარა. მერე სხვებიც მიჰყვნენ... და აი, ერთმა შოფერმა წაიფორხილა, მისი მანქანა წყალში აღმოჩნდა. გერმანემ დიდი რისკის ფასად გადაარჩინა. თანაც როგორ — მისი მანქანაც დაუზიანებლად გამოიტანა. იმ შოფერის გვარს განგებ არ ვასახელებ, ისიც ვაჟაკაცი ბიჭია, შერცხვება: გერმანე გიორგაძისაგე თაოსნობით ეხლა ჭირვეულ მდინარეს გეზი აქვს შეცვლილი.



პირადი საქმე გვერდზე გადავდოთ და ეხლა ციფრები და ფაქტები ავამეტყველოთ.

მერვე და მეცხრე ხუთწლედების პირადი დავალებანი ვადაზე ადრე შეასრულა დიდი გადამეტებით. მეათე ხუთწლედის დავალება სამწელიწად-ნახევარში გაანაღდა. მეათე ხუთწლედში გეგმით 85.300 ტონა ტვირთი უნდა გადაეზიდა და 1.365.000 ტონა კილომეტრი გამოეშუშავებინა. მან კი სამწელიწად-ნახევარში 97.300 ტონა ტვირთი გადაზიდა და 1.557.000 ტონა-კილომეტრი გამოიმუშავა. ნამდვილი გმირობაა!

1973 წლიდან მოყოლებული ყოველ წელს იღებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის ნიშანს და ფულად პრემიებს.

როცა კაცის პირად მაგალითზეა ლაპარაკი, ეს ფაქტები, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. ამ დროს თვით საწარმოს მშრომელებთან დამოკიდებულებით, საერთო საქმისადმი ერთგულებით ვლინდება მუშაკის ხასიათი.

საკარიერო გზებზე მისაბმელით ტვირთი ჩვენში კი არა, მთელ კავშირში არსად არ გადაჰქონდათ. გ. გიორგაძემ თავის თვითმცლელს მისაბმელი პირველად მიუბა და დიდ ეფექტსაც მიაღწია. მისაბმელით ტვირთის გადაზიდვამ თითოეული ავტომანქანის მწარმოებლობა 45 პროცენტით გაზარდა და წელიწადში 3 ტონამდე საწვავი დაზოგა. თქმით იოლია, მაგრამ გაკეთებაა ძნელი. საკარიერო გზა ხომ მოუწყობელია. იქ მისაბმელიან ავტომანქანას მოძრაობა უჭირს, მაგრამ გიორგაძისათვის სიძნელეები არ არსებობსო, ამბობენ ლანჩხუთის ავტოსაწარმოს მუშაკები. ერთმა ისიც თქვა, რასაც აკეთებს გიორგაძე, ყველას ვერ მოსთხოვო.

გიორგაძის რაციონალიზატორულმა წინადადებამ დიდი ეფექტი მისცა ლანჩხუთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს. ეს სიახლე მარტო ლანჩხუთში როდი დარჩა, რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სამინისტრომდეც მიაღწია და სამინისტროს კოლეგიამ, თვით მინისტრის წინადადებით, საქმიანად იმსჯელა და ყველა საწარმოს დაავალა ფართოდ დაენერგათ გიორგაძის მეთოდი.

გამოცდილი შოფერი ამას კი აღარ მოელოდა — სამინისტროს კოლეგია თუ იმსჯელებდა და მთელ რესპუბლიკაში გაავრცელებდნენ მის რაციონალიზატორულ წინადადებას. ამასთან რაოდენ საამაყოა, რომ ეს სიახლე მისი მშობლიური რაიონიდან — სასელიო — „ლანჩხუთელთა მეთოდით“ მოინახულა ეს ამ ... [illegible] ... ფიქრობ ამაზეო, გვითხრა:

— რა თქმა უნდა, ამას არ ველოდი, მაგრამ კარგი საქმე რომ იყო, თავიდანვე ვიცოდი. ახლა, იცით, რა მაინტერესებს? თითო მანქანა ამდენ საწვავს ზოგავს, 45 პროცენტით მატულობს მისი მწარმოებლობა, კი და პატიოსანი, მაგრამ ყველა შოფერმა რომ ამ წესით იმუშაოს, საქართველოს ავტოსაწარმოებში რამდენად გაიზრდება მანქანის მწარმოებლობა და რამდენი ტონა საწვავი დაიზოგება?

ეგ მომავლის საქმეა, გერმანე, სიტყვა რესპუბლიკის ავტოსაწარმოთა დირექტორებსა და შენს თანამოსაქმეებს ეკუთვნით.

ახლა კი მეგობრებთან, ადამიანებთან დამოკიდებულებაზე მოგახსენებთ. ზოგიერთები, მომხვეჭელობას გადაყოლილი შოფრის უმსგავსო მოქმედებით განაწყენებულნი, ამ პროფესიას უპატივცემლოდ ეკიდებიან. დღენიადაგ გ. გიორგაძე იმაზე ფიქრობს, როგორ გააქარწყლოს ეს მცდარი შეხედულება. სხვებსაც არიგებს ჭკუას: შოფრობა საპატიო, ძნელი საქმეა, უმსგავსობას ნუ იზამთ, თავსა და ოჯახს ნუ შეარცხვენთ. რამდენჯერ ყოფილა, რომ თავისი თანამოსაქმე, სხვა საწარმოს შოფერი უწესო საქციელისათვის, ავყიარობისათვის გაუკიცხავს, ჭკუა დაურიგებია. ერთხელ ტაქსის შოფერს, რომელიც ჭუჭყიან, მტვრიან მანქანას დაარბენინებდა, უთხრა — შე კაი კაცის შვილო, ამ ჭუჭყსა და მტვერში რომ ზიხარ, არა გრცხვენია? შენი „კაბინეტი“ ხომ ეს არის, ცოლშვილს ხომ ამ მანქანით არჩენ, რატომ არ უვლიო. მგზავრი თუ არ გეცოდება, შენი თავი შეიბრალე. მგზავრი ტაქსში 5-10 წუთს ჩაგიჯდება, შენ კი მთელ დღეს ამ მანქანაში ზიხარ და უამრავ მტვერს ყლაპავო. ტაქსისტი ჯერ გაბრაზდა — შენ ვინ გკითხავსო, მერე კი, დაფიქრდა, გონს მოეგო, ამბობენ, ახლა ლანჩხუთში იმ ტაქსზე უფრო მოვლილი მანქანა მეორე არ დადისო.

ასეა, კაი კაცი ყველგან კარგია, როგორც შინ, ისე გარეთ. სწორედ გიორგაძისთანა ადამიანები აყალიბებენ ჩვენი დროის მშრომელი კაცის ხასიათს. ასეთებს კი ამ ქვეყნად რა გამოლევს!

ბ. ჩხაიძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: მოწინავე შოფერი გ. გიორგაძე.
ა. თოფურიას ფოტო.

ავტოტრანსპორტის მუშაკთა დღესასწაული

წარმატებით ართმევენ თავს საქართველოს ავტოტრანსპორტის მუშაკები გეგმებსა და სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ დამაბულ სოციალისტურ ვალდებულებებს. მიმდინარე წლის დამდეგიდან მათ გადაიტანეს 109,9 მილიონი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, შეასრულეს 1.768.7 მილიონი ტონა-კილომეტრი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ტვირთზიდვის მოცულობა 8,4 პროცენტით გაიზარდა, ტვირთბრუნვისა — 9,6 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მგზავრთა გადაყვანის დავალება: გადაყვანილია 486 მილიონზე მეტი მგზავრი. რესპუბლიკის საავტომობილო პარკი ასობით ახალი მანქანით შეივსო.

ეს და სხვა ფაქტები აღნიშნა საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა დღისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე გამოსვლის დროს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თ. დავითაშვილმა. მან თქვა, რომ წლის დამლევამდე დარჩენილ პერიოდში რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის მუშაკებმა ძალ-ღონე არ არ უნდა დაიშურონ, რათა უთუოდ შეასრულონ ხუთწლედის გეგმები და ვალდებულებები.

(საქინფორმი).

მეთერთმეტე ხუთწლედს რომ ვინყებთ

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელიწადს საქართველოში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე გათვალისწინებულია აშენდეს 1.690 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რაც საშუალებას მოგვცემს 27 ათას ოჯახს გავუუმჯობესოთ სანაცვლო პირობები. 1981 წლის დამლევისათვის ერთ სულ მოსახლეზე საერთო საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 16,1 კვადრატულ მეტრს.

ამ ციფრებს, ბევრ სხვა ციფრთან ერთად, რომლებიც ეხება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, შეიცავს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი, რომლის წინასწარ განხილვას შეუდგნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრები.

დასასრულს უახლოვდება მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელიწადი, საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, წარმატებით ასრულებენ მიმდინარე წლის, მთელი ხუთწლედის გეგმებსა და ვალდებულებებს, მტკიცე საფუძველს უყრიან მუშაობას მეთერთმეტე ხუთწლედში. ძალებისა და ენერგიის ახალი მძლავრი მოზღვავება გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მკაფიო, ღრმამშინაარსიანმა სიტყვამ, რომელიც განსაზღვრულია ჩვენი ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მთავარი მიმართულებები.

12 ნოემბერს თბილისში გაიმართება საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია, რომლის მონაწილენი განიხილავენ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმას, 1980 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობას, რესპუბლიკის 1981 წლის ბიუჯეტს, აგრეთვე 1979 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

ამასთან დაკავშირებით, 24 ოქტომბერს გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა მისი თავმჯდომარე, დეპუტატი ზ. ა. ჩხეიძე.

მოხსენება — საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი და 1980 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა — გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. ლ. ქორთველიშვილმა.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება საქართველოს სსრ 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და რესპუბლიკის 1979 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ, რომელიც გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა, დეპუტატმა ფ. ა. ანანიაშვილმა.

ამ საკითხების წინასწარი განხილვისათვის შეიქმნა მრეწველობის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის; სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების; ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების; საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის, სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის; ხახალხო განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგობრივი კომისიები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე შეიქმნა აგრეთვე დამატებითი შემოსავლის გამოვლენისა და განაწილების ორი ქვეკომისია. (საქინფორმი).

ბავშვებისათვის ყველანი ვაგებთ პასუხს

რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო ბაღებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში ბავშვების მოვლა, სწავლა, აღზრდა და ჯანმრთელობის დაცვა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის განხილვის საგანი გახდა. ამ დიდი სოციალური მნიშვნელობის მიმართულების საქმეთა ვითარება სხდომაზე დამსწრეთ გააცნო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნ

როცა დირექტორის თვალი აკლიათ

ქნუ რატომ ხდება დარღვევები ავტოგასაწყობ სადგურებში

ამ ცოტა ხნის წინათ „საქნავთობმომარაგებაგასაღების“ მთავარ სამმართველოში კოლეგიის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით მეტად მნიშვნელოვანი და საჭირობოროტო საკითხები უნდა განეხილათ, ამიტომ სამმართველოს ხელმძღვანელობამ სხდომის მუშაობაში მონაწილეობისათვის რესპუბლიკის ყველა ნავთობბაზისა და ავტოგასაწყობი სადგურების კანტორის დირექტორები მიიწვია.

საქმე ის გახლდათ, რომ ამ ბოლო ხანს საწვავით მომარაგებაში გარკვეულ შეფერხებებთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა სისტემის თითოეული მუშაკის მობილიზება ავტოგასაწყობი სადგურების მეტი ორგანიზებული მუშაობისათვის, საწვავის გაცემის საქმეში მეტი კონტროლისა და წესრიგის დასამყარებლად.

გარდა ამისა, ავტომფლობელები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას, რომ ავტოგასაწყობი სადგურების ქსელში უხეშად ირღვევა სახელმწიფო დისციპლინა, სოციალისტური მართლწესრიგი, ხდება საწვავ-სასპოხი მასალების ნაღდ ანგარიშზე (იქ, სადაც ეს კატეგორიულად აკრძალულია) ვაჭრობის, ბენზინის ხარისხის ფალსიფიცირების, ბენზინის მრიცხველების განზრახ მოშლის, ზეთების არასტანდარტული ჭურჭლით გაცემის, სახელმწიფო ერთიანი ტალონებით სხვადასხვაგვარი მაქინაციების და სხვა მრავალი ფაქტი.

და აი, ახლა საჭირო იყო კოლეგიის სხდომაზე ერთობლივად გამოეტანათ სათანადო დასკვნები, დაესახათ კონკრეტული ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად და კოლეგიის დამთავრებისთანავე პრაქტიკულად შესდგომოდნენ მიღებული დადგენილებით გათვალისწინებული დავალების შესრულებას. მით უმეტეს, რომ დავალება ძალზე კონკრეტულად იყო ჩამოყალიბებული: „ნავთობბაზებისა და ავტოგასაწყობი სადგურების კანტორების დირექტორებმა გამართონ სერიოზული და გულახდილი საუბარი ყველა ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა შესახებ.

პირადად შეამოწმონ საწვავ-სასპოხი მასალების რეალიზაციის მდგომარეობა ნაღდ ანგარიშზე ვაჭრობის ფაქტების აღმოსაფხვრელად“.

და როგორ გგონიათ? შემოწმება მეორე დღესვე დაიწყო და მომდევნო დღეებშიც გაგრძელდა მთელი ორი კვირის მანძილზე. შერჩევითი შემოწმებისათვის თბილისის № 5, 9, 12 და რუსთავის № 3 ავტოგასაწყობ სადგურებს შემმოწმებლები ეწვივნენ, ოღონდ არა ისინი, ვისაც ეს დადგენილებით ევალებოდათ, არამედ რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის სამმართველოს მუშაკები.

მივიდნენ, სადგურების მუშაობა გულდასმით შეამოწმეს და თითქმის ყველა იმ სახის დარღვევა-დანაშაული გამოავლინეს, რომლებზეც სულ რამდენიმე დღის წინათ ესოდენ პრინციპული ლაპარაკი მესამე, დამოუკიდებელ კანდიდატზე — ანდერსონზე.

მართალია პრეზიდენტის არჩევნების ისტორიამ მრავალი შემთხვევა იცის არჩევნებში „მესამე“ კანდიდატის მონაწილეობისა, მაგრამ მაკარტისა და ანდერსონის გარდა ყველა ისინი „მესამე“ პარტიას წარმოადგენდნენ. ამიტომ, როდესაც 1976 წელს ყოფილმა სენატორმა დემოკრატმა მაკარტიმ საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა (იგი არც ერთ პარტიასთან არ იყო დაკავშირებული), ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ, ისევე როგორც თავის დროზე მაკარტის, ამჯერად ანდერსონსაც დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე შტატების დახლართული და ურთიერთსაწინააღმდეგო კანონები ხომ რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენელთა მიერ არის შემუშავებული იმ მიზნით, რომ მინიმუმამდე შეიზღუდოს ოპოზიციური მოძრაობისა და „მესამე“ პარტიის როლი. ამა თუ იმ შტატში დამოუკიდებელი კანდიდატი რომ რეგისტრირებულ იქნეს, სპეციალურ პეტიციაზე გარკვეული რაოდენობის ხელმოწერები უნდა შეაგროვოს. თუ ტენესის შტატში ასეთ პეტიციაზე სულ 25 ხელმოწერაა საჭირო, არიზონას შტატში ათ დღეში უნდა დააგროვოს 5.386 ხელმოწერა, ნიუ-იორკის შტატში ანდერსონს 43 დღეში 20.000 ხელმოწერა უნდა უზრუნველეყოო, ხოლო კალიფორნიაში— 100 ათასი. 1976 წელს მაკარტის მომხრეებმა დაიანგარიშეს, რომ დამოუკიდებელ კანდიდატს ყველა შტატში რეგისტრაციისათვის 2 მილიონი ხელმოწერა სჭირდება.

1974 წელს მიღებული საარჩევნო კამპანიის ფედერალური კანონი პირდაპირ არის მიმართული დამოუკიდებელი კანდიდატების წინააღმდეგ; ისინი კაპიტალისაც არ იღებენ სახელმწიფოსაგან საარჩევნო კამპანიის საჭიროებისათვის. მათ იმის შესაძლებლობაც კი არა აქვთ, რომ თავიანთი პოლიტიკური პლატფორმა სრულად გააშუქონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით. ყოველივე ამის შემდეგ ადვილად გასაგებია ის პესიმიზმი, რომელიც თან სდევს ანდერსონის კამპანიას. საერთო აზრით, მას პრაქტიკულად არჩევნებში გამარჯვების არავითარი შანსი არა აქვს, მაგრამ საქმე ის არის, რომ, ისევე საერთო აზრით, მას შეუძლია სერიოზული კორექტივები შეიტანოს ძალთა თანაფარდობაში. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ანდერსონი ბევრ ხმას წაართმევს კარტერს და ამით რეიგანის პოზიციას განამტკიცებს. ამაზევე მეტყველებს საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ დაწესებულებათა მონაცემებიც, თუმცა საზოგადოებრივი აზრის ერთადერთი შესწავლა, რომელსაც რეალური ფასი აქვს, ეს არის თვითონ არჩევნები.

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმოხილველი.

ბჭობენ ისტორიკოსები

თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საქტო დარბაზში სამ დღეს მუშაობდა საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს.

საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია თელავში

კონფერენცია მოეწყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების, ისტორიის განყოფილებასთან არსებული „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის კომპლექსური პრობლემის“ სამეცნიერო საბჭოს და მისი საქართველოს სექტორის, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ერთობლივი ღონისძიებით.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ რუსეთის სფსრ, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს სსრ, დაღესტნის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის ასსრ გამოჩენილი მეცნიერები.

კონფერენცია გაიმართა თემაზე: „უცხოური ინტერვენციის კრახი ამიერკავკასიაში (1918-1921 წ.წ.)“.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ა. ფრანგიშვილმა.

თუ როგორ წარიმართა კონფერენციის მუშაობა და რა პრობლემური საკითხები იქნა განხილული, ამის შესახებ გვესაუბრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებული „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის კომპლექსური პრობლემის“ სამეცნიერო საბჭოს სექტორის გამგე, ისტორიკოსთა დოქტორი ნ. ნატმელაძის, ი. ჩაჩავას, თ. პაპუაშვილის, ნ. და მ. მახარაძეების გამოსვლებმა.

განსახილველი პრობლემის მეცნიერულ გაანალიზებაში დიდი წვლილი შეიტანეს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა გ. ღარიბჯანიმა და ც. აღაიანმა; აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა ნ. მიხაილოვმა, ზ. ისაევმა და სხვებმა.

მეტად საინტერესო იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის დ. სტურუას გამოსვლა თემაზე „საქართველოს მენშევიკები და საერთაშორისო იმპერიალიზმი“.

კონფერენციის მონაწილეებზე წარუშლელი კვალი დატოვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სახელმწიფო დილენინური პრემიების ლაურეატის ი. მინცის გამოსვლამ თემაზე „უცხოელი ინტერვენციის განადგურების გაკვეთილები და თანამედროვეობა“. მანვე შეაჯამა კონფერენციის მუშაობა და მაღალი შეფასება მისცა პრობლემის განხილვის მეცნიერულ დონეს; აღინშნა მისი მნიშვნელობა არა როგორც მარტო ისტორიული მოვლენისა, არამედ როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის, ახალგაზრდობის პატრიოტული, ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო საშუალებისა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

კონფერენციამ მიიღო რეკომენდაცია ამ პრობლემის შემდგომი ღრმა მეცნიერული შესწავლისათვის.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის პროფესორი ამზ. ლეო მიხეილის ძე **კვაჭაძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი ამზ. ალექსანდრეს ძე **ჯიბლაძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელი კადრების, სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოს უფროსი ამზ. თენგიზ გიორგის ძე **ბილიგაშვილი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

სსრ კავშირის დღეები დანიაში

კოპენჰაგენი. ქალაქ ოლბორგში დაიწყო სსრ კავშირის დღეები დანიაში, რომლებიც ტრადიციისამებრ დიდი ოქტომბრის წლისთავს უკავშირდება. წელს საბჭოთის მრავალეროვნულ ხელოვნებას დანიის მიწაწყალზე წარმომადგენლობს საბჭოთა საქართველო.

თავის უკანასკნელ ნომერში ჟურნალმა „ფაქტები საბჭოთა კავშირის შესახებ“ დაბეჭდა თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან მიღებული რეპორტაჟები, რომლებიც დანიელ მკითხველს აცნობენ საქართველოს რესპუბლიკის მიღწევებს სხვადასხვა დარგში.

დანია-სსრ კავშირის საზოგადოებამ გამოუშვა სპეციალური საინფორმაციო ბიულეტენი, რომელშიც შეტანილია საბჭოთა და დანიელი ავტორების სტატიები საქართველოს რესპუბლიკის შესახებ. სტატიებს დართული აქვს ცნობილი დანიელი მხატვრის ჰ. ბიდსტრუპის ნახატები.

დანიაში სსრ კავშირის დღეების გეოგრაფია და პროგრამა ვრცელია. ოლბორგის გარდა დღის კოპენჰაგენზე, ხორსენსზე, ორხუსზე, ოდენსსა და სხვა ქალაქებზე. გაიმართება საბჭოთა დელეგაციის შეხვედრები დანიის საზოგადოებრივობის წარმომადგენლებთან. კოპენჰაგენის რატუშის შენობაში „მოეწყობა გამოფენა „დღევანდელი საბჭოთა საქართველო“. მის ექსპოზიციაში შეტანილია ფოტოსურათები. ქართველ მხატვართა და სახალხო ოსტატთა ნაწარმოებები, ბავშვთა ნახატები.

ქვეყნის უდიდეს ქალაქებში სსრ კავშირის დღეების ფარგლებში ეწყობა ფოტოგამოფენები, რომლებიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავს, სკკპ მომავალ XXVI ყრილობას, საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკას, საქართველოს სს რესპუბლიკის წარმატებებს.

ქართულ სიმღერებს და ცეკვას გააცნობენ დანიელებს ვაჟთა ვოკალური ტრიო და ანსამბლი „გორდა“. დანიაში სსრ კავშირის დღეების საზეიმო გახსნაზე გამოსვლისას ქალაქ ოლბორგის ბურგომისტრმა მ. ანდერსონმა აღნიშნა, რომ ასეთ შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა აქვს დანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებისათვის. სსრ კავშირის ეროვნული კოლექტივების კონცერტები, თქვა ბურგომისტრმა, დანიაში ტრადიციული გახდა და დიდ მოვლენად იქცა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

ქართველ მსახიობთა პირველ გამოსვლას, რომელიც ქალაქ ოლბორგის საკონცერტო დარბაზში გაიმართა, მაყურებლები აღფოთოვანებით შეხვდნენ.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

27 ოქტომბერი

● **სოფია.** ქალაქ ვრაცაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საბჭოთა წიგნის 21-ე დღეობა ბულგარეთში.

● **პარიზი.** არ ცხრება მედგარი ბრძოლა, რომელსაც საფრანგეთის მშრომელნი ეწევიან თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. შრომის საყოველთაო კონფედერაციის მონაცემებით, მარტო სექტემბერში ქვეყნის 36 დეპარტამენტში გაიმართა 780-ზე მეტი გამოსვლა სამუშაოდან დათხოვნების წინააღმდეგ.

● **დელი.** ჩინეთის სახელმწიფო თვითმფრინავებმა ორჯერ დაარღვიეს მიმდინარე თვის განმავლობაში ინდოეთის საჰაერო საზღვარი, იუწყება ინდოეთის გაზეთი „სანდი სტეიტსმენი“.

უთანხმოების ვითარებაში

ლუქსემბურგი, 27 ოქტომბერი. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემების გამო სერიოზულ უთანხმოებათა ვითარებაში დამთავრდა ეუნერნაზში „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა.

მისი მონაწილენი, კერძოდ, ვერ შეთანხმდნენ „ცხრეულის“ მეტალურგიულ მრეწველობაში მწვავე კრიზისის დაძლევის გზების საკითხზე. როგორც ვიცით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ ვეტო დაადო ევროპის გაერთიანებათა კომისიის გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ლოთარინის წარმოების შეზღუდვას, მათ შორის ფოლადის გამოდნობის შემცირებას საშუალოდ 15 პროცენტით 1981 წლის ივნისის დამლევამდე. ბონმა განაცხადა, რომ ეს გეგმა არ შეესაბამება დასავლეთ გერმანიის ფოლადის ტრესტების ინტერესებს და მინისტრთა განსახილველად შეიტანა თავისი წინადადებანი. მაგრამ პარტნიორები — ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნების ელჩლომატიურ უწყებათა მეთაურებმა ვერ შეძლეს აგრეთვე მიეღოთ კონკრეტული გადაწყვეტილებანი 1981 წლისათვის „საერთო ბაზრის“ ბიუჯეტის პროექტის საკითხზე.

წყნარი ოკეანის სისუფთავისათვის

ტოკიო. ათას ხუთასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა აქ გამართულ საპროტესტო მიტინგში წყნარი ოკეანის რადიაქტიური ნარჩენებით გაჭუჭყიანების წინააღმდეგ. მიტინგის მონაწილეებმა, რომელიც პროფკავშირთა გენერალური საბჭოს (სოპიო) და იაპონიის სოციალისტური პარტიის ინიციატივით მოეწყო, მკაცრად გააკრიტიკეს იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილება „დამარხოს“ წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში რადიაქტიური ნარჩენები.

ფოტოინფორმაცია

გულდასმით შემუშავებული ეგრეთ წოდებული რეფერენდუმის სცენარის მეოხებით პინოჩეტმა შეინარჩუნა ჩილეში სამხედრო ფაშისტური რეჟიმი, მაგრამ დიქტატორის გეგმები დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ამიტომ ხუნტამ კიდევ ექვსი თვით გააგრძელა ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო წესები.

სურათზე: ასე აიძულეს ჩილელები მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა.

აპ-საქდესის ფოტო.

ბაზრაქ ქარმალის განცხადება

ჟაგული, 27 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ყოფნა, სსრ კავშირის პარტიისა და თავრობის ხელმძღვანელებთან და განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან შეხვედრები და მოლაპარაკება, ძმური გულწრფელობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში რომ ჩაიარა, არა მარტო მოწმობს ურთიერთსაინტერესო პრობლემებზე მხარეთა შეხედულებებისა და პოზიციების სრულ ერთიანობას, არამედ ახალი ფურცელია ჩვენი ქვეყნების მეგობრული და ძმური ურთიერთობის განვითარება-გაღრმავების საქმეში. ეს განაცხადა ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ბაბრაკ ქარმალმა ავღანეთის რადიოსა და ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში.

ბ. ქარმალმა უღრმესი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს ძმური დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

ერაყ-ირანის კონფლიქტი

ბაღდადი, 27 ოქტომბერი. ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ერაყის ავიაცია განაგრძობდა ირანის ტერიტორიის სიღრმეში სამხედრო და ეკონომიკური ობიექტების დაბომბვას. ირანის ჯარებმა კონტრშეტევა წამოიწყეს ერაყის ჯარების წინააღმდეგ მდინარე კარუნის აღმოსავლეთით. ბრძოლების დროს, ნათქვამია კომუნიკეში, ირანის მხარემ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა.

როგორც ინა-ს სააგენტო იუწყება, ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ჰამადიმ განაცხადა, რომ „ერაყს არავითარი პრეტენზია არა აქვს ირანის ტერიტორიის მიმართ, მაგრამ მას კანონიერი უფლებები აქვს თავის ტერიტორიაზე და შატ-ელ-არაბის სრულ სუვერენიტეტზე, რომელზეც უარს ვერ იტყვის“.

მშვიდობის სამსახურში

ჰავანა, 27 ოქტომბერი. ლამაზად მორთულა კუბის დედაქალაქის ცენტრალური საგამოფენო პავილიონი. ჭეშმარიტ, რომლებიც გარს აკრავს ამ უზარმაზარ შენობას, მოჩანს საბჭოთა კავშირის ალმები, ტილოები „ინტერკოსმოსისა“ და საბჭოთა კავშირ-კუბის. ერთობლივი კოსმოსური ფრენის ემბლემებით. შენობის ფრონტონზეა იური რომანენკოსა და არნალდო ტამაიო მენდეზის ფოტოსურათები. ასე იწყება გაცნობა გამოფენისა „კოსმოსი მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში“, რომელიც ჰავანაში მოაწყვეს სსრ კავშირისა და კუბის მეცნიერებათა აკადემიებმა.

ექსპოზიცია უდიდეს ინტერესს იწვევს.

„კომუნისტის“ მიმოხილვა

გასულ კვირაში

ფინიშის სწორზე

ერთი კვირაღა დარჩა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებამდე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ორასწლიან საარჩევნო ქრონიკებში იშვიათად თუ მოიძებნება მეორე ისეთი საარჩევნო კამპანია, როდესაც მოსალოდნელი ყოფილიყოს ძალთა თანაფარდობის მკვეთრი შეცვლა უშუალოდ არჩევნების წინა დღეებში. როგორც ამერიკული „კრისჩენ საიენს მონიტორი“ წერს „რესპუბლიკური პარტიის სტრატეგიკა კვლავ შიშობენ, რომ ფარდის დაშვების წინ კარტერმა შეიძლება საგარო პოლიტიკაში მოამზადოს რაიმე „ოქტომბრის სიურპრიზი“, რომელიც პრეზიდენტის სასარგებლოდ შეცვლის ძალთა თანაფარდობას“. ასეთი „სიურპრიზის“ თეორიული შესაძლებლობა განსაკუთრებით რეიგანის ირან-ერაყის გამოუცხადებელი ომის მსელელობაში.

საარჩევნო კამპანიის უკანასკნელ დღეებში დემოკრატიულმა პარტიამ განსაკუთრებით გაალიერა პრეზიდენტის, როგორც „მშვიდობის კანდიდატის“ რეკლამა. თეთრ სახლში მიიჩნიათ, რომ ლოზუნგმა — „რეიგანი ომია“, იქონია თავისი გავლენა ამომრჩევლებზე. მართლაც, თუ ოვიგე ამერიკის პრესას დავეყრდნობით, „ბევრ ამერიკელს აკრთოს აზრი, რომ რეიგანის ხელში შეიძლება აღმოჩნდეს უმაღლესი პასუხისმგებლობა ბირთვული სტრატეგიის საკითხში“. როგორც ჩანს, კარტერი საფუძვლიანად გაეცნო საარჩევნო კამპანიათა ისტორიას და დასკვნა, რომ უპირატესობა მუდამ იმ კანდიდატის მხარეზე იყო, რომელიც სამშვიდობო პროგრამით გამოდიოდა. ასე იყო 1916 წელს, როდესაც ვუდრო ვილსონი ამერიკელებს პირდებოდა, რომ არ ჩაებმებოდა პირველ მსოფლიო ომში, დუაიტ ეიზენჰაუერი კორეის ომის დამთავრებას შეპპირდა ამომრჩევლებს, ხოლო რიჩარდ ნიქსონი — ვიეტნამისას. რესპუბლიკელთა საზიანოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ ტრადიციულად მათ მაინცდამაინც არ სწყალობენ ამერიკელი ამომრჩევლები.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, მას შემდეგ რაც „დიდი დეპრესიის“ წლებში სასტიკად დამარცხდა რესპუბლიკელი პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი, ისინი მხოლოდ 16 წლის განმავლობაში ფლობდნენ თეთრ სახლს. მისი ნახევარიც ეიზენჰაუერის პრეზიდენტობაზე მოდის, რომელმაც პრეზიდენტის სავარძელი გაიანდა პირადი პოპულარობით. (როგორც ომის გმირმა) და არა პარტიის პოპულარობით. 6 წელი იყო პრეზიდენტი ნიქსონი. პარტიისათვის კატასტროფად იქცა უოთერგეიტი და 1977 წელს ამერიკელ ამომრჩეველთა მხოლოდ 20 პროცენტი უწოდებდა თავს რესპუბლიკელს. ამავე დროს განუხრელად იზრდება დამოუკიდებელ ამომრჩეველთა რიცხვიც; თუ 1940 წელს უკანასკნელნი ამომრჩეველთა 20 პროცენტს შეადგენდნენ, 1977 წლისათვის 31 პროცენტს მიაღწიეს. მიმომხილველთა აზრით, ასეთი გარემოება მსხვილი ბიზნესმენი უილიამ საიმონი (მემარჯვენე-კონსერვატული ორგანიზაციის — „ძალის პოზიციიდან მშვიდობის კოალიციის“ თანათამჯდომარე). რეიგანის შტაბბინასთან იგივე ალენის თამჯდომარეობით 1980 წლის 20 აპრილიდან არსებობს რამდენიმე სათათბირო ჯგუფი საგარეო და სამხედრო პოლიტიკის საკითხებში, რომლებიც მთლიანად დაკომპლექტებულია საერთაშორისო პრობლემებისადმი ძალისმიერი მიდგომის მომხრეებით. ასეთ ჯგუფებში დიდი გავლენა აქვთ ისეთ მემარჯვენე, კონსერვატული კვლევითი ცენტრების წარმომადგენლებს, როგორიც არის ომის, რევოლუციისა და მშვიდობის გეგერის ინსტიტუტი, ჯორჯტაუნის უნივერსიტეტთან არსებული სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრი, მაიამის უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო კვლევის ინსტიტუტი, ფილადელფიის საგარეო-პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტი, ამერიკის სტრატეგიული ინსტიტუტი და სხვ.

ძნელი სავარაუდოა, რომ ზემოხსენებულმა დაწესებულებებმა და მათმა თანამშრომლებმა მოკლე ხანში მკვეთრად შეიცვალონ თავიანთი ორიენტაცია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლად არც კარტერი გამოიყურება, რომ აღარაფერი ვთქვათ მის საშინაო პოლიტიკაზე. აი ამიტომ არის, რომ ბოლო ხანებში ამერიკელმა მიმომხილველებმა სერიოზულად დაიწყეს ლაპარაკი მესამე, დამოუკიდებელ კანდიდატზე — ანდერსონზე.

ერაყ-ირანის კონფლიქტი

თეირანი. როგორც თეირანის რადიო იუწყება, ქალაქ ხორემშაჰრში გრძელდება ქუჩის ბრძოლები, ერაყის ჯარები არ წყვეტენ აბადანის ხელში ჩაგდების ცდებს. ქალაქს ინტენსიურად უშენენ არტილერიის ცეცხლს. აბადანის ნავთობგადამამუშავებელ კომპლექსში ხანძარი მძვინვარებს, ძლიერი ცეცხლი დაუნახეს ფაქტიც, რომ, ისევე როგორც თავის დროზე მაკარტის, ამჯერად ანდერსონსაც დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე შტატების დახლართული და ურთიერთსაწინააღმდეგო კანონები ხომ რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენელთა მიერ არის შემუშავებული იმ მიზნით, რომ მინიმუმამდე შეიზღუდოს ოპოზიციური მოძრაობისა და „მესამე“ პარტიის როლი. ამა თუ იმ შტატში დამოუკიდებელი კანდიდატი რომ რეგისტრირებულ იქნეს, სპეციალურ პეტიციაზე გარკვეული რაოდენობის ხელმოწერები უნდა შეაგროვოს. თუ ტენესის შტატში ასეთ პეტიციაზე სულ 25 ხელმოწერაა საჭირო, არიზონას შტატში ათ დღეში უნდა დააგროვოს 5.386 ხელმოწერა, ნიუ-იორკის შტატში ანდერსონს 43 დღეში 20.000 ხელმოწერა უნდა უზრუნველეყოო, ხოლო კალიფორნიაში— 100 ათასი. 1976 წელს მაკარტის მომხრეებმა დაიანგარიშეს, რომ დამოუკიდებელ კანდიდატს ყველა შტატში რეგისტრაციისათვის 2 მილიონი ხელმოწერა სჭირდება.

1974 წელს მიღებული საარჩევნო კამპანიის ფედერალური კანონი პირდაპირ არის მიმართული დამოუკიდებელი კანდიდატების წინააღმდეგ; ისინი კაპიტალსაც არ იღებენ სახელმწიფოსაგან საარჩევნო კამპანიის საჭიროებისათვის. მათ იმის შესაძლებლობაც კი არა აქვთ, რომ თავიანთი პოლიტიკური პლატფორმა სრულად გააშუქონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით. ყოველივე ამის შემდეგ ადვილად გასაგებია ის პესიმიზმი, რომელიც თან სდევს ანდერსონის კამპანიას. საერთო აზრით, მას პრაქტიკულად არჩევნებში გამარჯვების არავითარი შანსი არა აქვს, მაგრამ საქმე ის არის, რომ, ისევე საერთო აზრით, მას შეუძლია სერიოზული კორექტივები შეიტანოს ძალთა თანაფარდობაში. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ანდერსონი ბევრ ხმას წაართმევს კარტერს და ამით რეიგანის პოზიციას განამტკიცებს. ამაზევე მეტყველებს საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ დაწესებულებათა მონაცემებიც, თუმცა საზოგადოებრივი აზრის ერთადერთი შესწავლა, რომელსაც რეალური ფასი აქვს, ეს არის თვითონ არჩევნები.

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმოხილველი.

წარმატებათა ნახევარი საუკუნე

სახელმწიფო ტერიტორიული საპროექტო ინსტიტუტი „საქსახპროექტი“ თავისი არსებობის ნახევარსუკუნოვან იუბილეს შემოქმედებითი ძალების აყვავებით ეგებება.

იუბილარის ბიოგრაფია — ეს არის ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტებით აღნიშნული ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერების აღმავლობის გზა, საქართველოს გადაქცევა მაღალგანვითარებულ სოციალისტურ რესპუბლიკად. 1930 წელს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი „ამიერკავკასიის საპროექტო-საკონსულტაციო ტრესტი“ შემდგომში გარდაიქმნა „საქსახპროექტის“ ინსტიტუტად. შემდგომ კი მის ბაზაზე საქართველოში ბევრი საპროექტო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა.

ამჟამად ინსტიტუტი შედის სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკმშენპროექტის“ შემადგენლობაში და სამრეწველო საწარმოების სამშენებლო დაპროექტების გარდა ასრულებს მშენიდუსტრიისა და საავტომობილო ტრანსპორტის ობიექტების კომპლექსურ პროექტებს.

ინსტიტუტის მიერ და მისი მონაწილეობით შემუშავებული პროექტებით აშენდა საწარმოები, რომლებმაც განსაზღვრეს რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი. ეს არის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, „ჭიათურმანგანუმის“ კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა, თბილისის საავიაციო და ქუთაისის საავტომობილო, რუსთავის ქიმიური ქარხნები, საცხოვრებელი და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტები — ქალაქი რუსთავი, კუორორტი წყალტუბო, თანამედროვე ორგანიზაციული შენობები რესპუბლიკის დედაქალაქში...

„საქსახპროექტის“ როლს ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების შექმნის საქმეში დამაჯერებლად ადასტურებს მისი მოღვაწეობის ფართო გეოგრაფია. ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობდა კრივოი როგისა და დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული კომბინატების, ვოლგის, კამის, ულიანოვსკის სავატომობილო ქარხნების, მოძმე რესპუბლიკების მრავალი სამრეწველო ობიექტის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ინდოეთის მეტალურგიული კომბინატების დაპროექტებაში.

„საქსახპროექტი“ 50 წლისაა

დღეს ინსტიტუტი აპროექტებს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო, თბილისის მეორე ავტოშემკეთებელი, ახალქალაქის კიდული საბადოირა გზების მოწყობილობის და სხვა ქარხნების გაფართოებას, რეკონსტრუქციასა და მშენებლობას.

„საქსახპროექტი“, როგორც სსრ კავშირის სახმშენის ტერიტორიული საპროექტო ორგანიზაცია საქართველოს სს რესპუბლიკაში, მონაწილეობს სამრეწველო ობიექტების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში, მათთვის ასაგები მოედნების შერჩევაში. ინსტიტუტის რეკომენდაციებმა სხვადასხვა საწარმოს განლაგების თაობაზე სახელმწიფოს დაუზოგა დიდძალი მატერიალური სახსრები, შეამცირა ობიექტების მიერ დაკავებული ნაკვეთები. მან შეიმუშავა სამრეწველო კვანძების გენ

თბილისობა ოქტომბრის დაუვიწყარი დღეა!

(დასასრული).

ნური სახე, ჩვენი მუშაობის უნარი, თანამედროვე დონეზე, თანამედროვე კატეგორიებით ჩვენი აზროვნების უნარი, ჩვენი ძალა, რომ განზრახული ბოლომდე მივიყვანოთ, ჩვენი სურვილი — ვიყოთ საქმის ოსტატები.

ამ წლის მანძილზე...

ერთი წლის წინათ თბილისში ვაზისუბნის ახალ ქუჩაზე დარგულ ნორჩ ჭადრის ხეს ერთი წლის ჭდე დაეჩნდა. ჭადარმა შეუმჩნევლად აიყარა ტანი. წლიური რგოლი ხის გულს შემოეკვლო და ნარგავიც მოღონიერდა, გაძლიერდა.

ყოველგვარი ზრდა შიგნიდან, გულიდან მოდის,

ერთი წლის განმავლობაში თბილისის სამრეწველო საწარმოებმა ისე იმუშავეს, რომ წარმოების მოცულობის ნამატმა ხუთწლეულში სადღეისოდ 38,2 პროცენტი შეადგინა. ეს ციფრი თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ განა მარტო ამით გამოიხატება მისი სილამაზე? რაც უფრო მეტ საზოგადოებრივ დოვლათს აწარმოებს თბილისი, მით უფრო აქვს შესაძლებლობა მეტი გაანაწილოს სოციალური საჭიროებებისა და მიზნებისათვის — სწორედ ამით გამოიხატება მისი დღევანდელი გამარჯვების მთავარი სილამაზე.

1979 წლის თბილისობიდან განვლილი წლის მანძილზე ქალაქი დამატებით დაახლოებით 80 დასახელების ხარისხისნიშნიან ნაწარმს უშვებს. განა საქმე მარტო ის არის, რომ ხუთწლედის მანძილზე მან რვაჯერ გაადიდა ასეთი ნაწარმის გამოშვება? ხარისხისნიშნიანი საგნები განასახიერებენ შრომელი თბილისის სულსა და გულს, მის მარჯვე ხელს, მის ნიჭს, მის პროფესიულ სიამაყეს.

— თბილისი იზრდებაო, ზმირად ვამბობთ და თითქმის ყოველთვის ვგულისხმობთ ტერიტორიულ, ფიზიკურ ზრდას. დიახ, ამ ბოლო წლის განმავლობაში ეგი კიდევ უფრო გაიზარდა: რამდენიმე ათეული ათვისებული ჰექტარი მიემატა მისი განაშენიანების 346 კვადრატულ კილომეტრს. დაახლოებით 400 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მიუმატეს მშენებლებმა ქალაქის საერთო საცხოვრებელი ფართობის 12 მილიონ კვადრატულ მეტრს. 30 სკვერი, 50 ათასი ხე, 90 ათასი ბუჩქი, 800 ათასი ყვავილი მისცა მას ინტენსიურმა მწვანე მშენებლობამ.

მაგრამ გავიხსენოთ: მთავარი ზრდა შიგნიდან, „გულიდან მოდის. ეს საქმე მარტო ის როდი, თუ როგორია თბილისის განაშენიანების, საცხოვრებელი ბინების, გამწვანების საერთო ფართობი, არამედ პირველ რიგში იმ სივრცის სიდიდე, რომელიც თბილისელი მოქალაქის სიყვარულმა და სულიერმა სითბომ, გულითადობამ, პატრონის დამოკიდებულებამ და ზრუნვამ აითვისა.

მარტო ამ პრიზმით უნდა განვიხილოთ ქალაქის ნამდვილი ზრდა.

ერთი წლის მანძილზე ჩვენ, თბილისელები, რამდენიმე ათასით მეტი გავხდით, მაგრამ ამბატა თუ არა ნამდვილი თბილისელი მოქალაქეების რიცხვმა?





ქალაქობაზე მოვიდა სრულიად საქართველო — მისი ხვავი და ბარაქა. ჩვენმა ხალხმა შემოდგომის დიდი დღესასწაული აღნიშნა ამ მზიან დღეს. სურათებზე, რომლებიც ჩვენნი ფოტოკორესპონდენტებმა 3. ბენბიურმა, ჯ. ლომაძემ, თ. ნიკოლაიშვილმა გადაიღეს, ამ ზეიმის მომენტებს ხედავთ.

ამ წლის მანძილზე თბილისის სახელს, რომელიც განუყოფელია რესპუბლიკის სახელისაგან, აღტაცებით წარმოთქვამდნენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს ბევრ ქალაქში. ოლიმპიურ მოსკოვში, სადაც თბილისელი ოსტატების მონაწილეობით ნაგებ სტადიონებსა და დარბაზებში იმარჯვებდნენ თბილისელი სპორტის ოსტატები, ევროპის ქვეყნებში, სადაც გამოდიოდნენ თბილისის თეატრის, ინსტრუმენტული მუსიკის, კინემატოგრაფის, თვითმოქმედი ხელოვნების ოსტატები და ძლევდნენ აუდიტორიის ურწმენობასა და უნდობლობას, აღფრთოვანებასა და სიხარულს ანიჭებდნენ მაყურებლებს.

თბილისობის პირველი დღესასწაულიდან გასული წლის განმავლობაში ქალაქი არა მარტო სიგანეში გაიზარდა, იგი გაიზარდა სიღრმეშიც, გაიზარდა ქალაქისა და ქალაქელთა სულიერი სიმდიდრე, გაიზარდა თბილისის ავტორიტეტი.

ამას დიდად შეუწყო ხელი ახალმა დღესასწაულმაც.

ასეთ მოქალაქეებს — პატივი და დიდება!

კლდის გალავნითა და აივნების ამფითეატრით კიბალჩიჩის ქუჩა და აღმართი თითქოს ეხვევიან ამ მრგვალ მოედანს სკვერის ცენტრში. ყოველივე ეს შეიძლება მიგვემსგავსებინა თეატრალური დეკორაციისათვის, აივნებზე რომ ხალხი არ ყოფილიყო გამოფენილი. ისინი ცხოვრობენ და იცხოვრებენ ამ სახლებში, რომლებიც ოდესღაც ასე აუშენებიათ, რათა ქალაქური ცხოვრება თავისუფლად იჭრებოდეს მათ ფანჯრებში.

კვირას, 26 ოქტომბერს მათ თვალწინ გადაეშალათ საოცარი სანახაობა. თეატრონის მრგვალ მოედანზე სახელგანთქმულ მათ თბილისელმა მსახიობებმა გაითამაშეს რამდენიმე მხიარული სცენა, რომელიც ნიჭიერად იყო გადმოტანილი ძველი თბილისური ყოფიდან. ეს იყო შესანიშნავი იდეა, საზეიმო ცერემონიალი „შენ გიმღერი, ჩემო თბილის-ქალაქო“ — გამართულიყო იმ ადგილას, სადაც ბევრი შესანიშნავი ქალაქური სიმღერა იშვა.

— მადლობა იმათ, ვინც მუხლჩაუხრელად მუშაობდა იმისათვის, რომ ამ დღესასწაულს თბილისი უფრო ლამაზი, უფრო მშვენიერი შეხვედროდა. მადლობა იმათ, ვინც აშენებდა ახალ თბილისს, ვინც დაუცხრომლად ზრუნავდა ძველი ქალაქისათვის.

დღესასწაულის მონაწილეებისა და სტუმრების წინაშე გამოვიდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი.

— მეგობრებო! ახლოვდება თბილისქალაქობის დღესასწაულის ყველაზე ამაღელვებელი რიტუალის წუთი. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ჩვენი ქალაქის საუკეთესო წარმომადგენლებს ენიჭებათ ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. ნება მიბოძეთ დავასახელო ისინი...

ვერიკო ანჯაფარიძე ადის თეატრონზე, როგორც ასი ათასჯერ ასულა თეატრის სცენაზე. ოდესღაც მისი მასწავლებელი კოტე მარჯანიშვილი ოცნებობდა დაედგა სპექტაკლი თბილისის ციხქვეშ, სადაც ბუნებრივ დეკორაციებად თბილისის ქუჩები იქნებოდა. ამ ოცნებას არ ეწერა ახდენა, მაგრამ ხორცი შეისხა დიდი რეჟისორის სხვა სანუკვარმა ჩანაფიქრმა: თეატრის ხელოვნება, არსით დეკორატიული, გაჰდა ქალაქის ქუჩებისა და მოედნების კუთვნილება, ხოლო მისი ოსტატების სახელები—ყველაზე საპატიო ქალაქელთა შორის.

ძნელი იყო იმაზე უკეთესი ადგილის პოვნა, რომ ვერიკო ანჯაფარიძე შეგვეკო თბილისის საპატიო მოქალაქის დაფნის გვირგვინით.

ძნელი იყო იმაზე უკეთესი ადგილის პოვნა, რომ საპატიო მოქალაქის წარჩინების ნიშნები გადაგვეცა ირაკლი აბაშიძისათვის. მან, რომელმაც ქალაქს უმღერა თავის შესანიშნავ ლექსებში მაღალი წოდება მიიღო იქ, სადაც მისი ჯაუკობის დღეებში პოეზიის ოსტატები ეძმობილებოდნენ ქალაქის ყველა ხელოსანს, და მათ ცხოვრებაში ბუნებრივია, ფეხს დგამდნენ როგორც შრომასა და ზრუნვაში თანასწორნი. ბრინჯაოს ნიკოლოზ ბარათაშვილმა გააცისკროვნა საზეიმო ცერემონია, მოაგონა ყველას, ვისი გორისანი არიან თანამედროვე ქართველი პოეტები.

ზღვა ხალხში, რომელიც მჭუხარედ უკრავს ტაშს თბილისის საპატიო მოქალაქეებს, უთუოდ, იყვნენ აკადემიკოს ნიკო კეცხოველის მოწაფეებიც. ისინი ყველანი როდი ისმენდნენ მის ლექციებს, როდი კითხულობდნენ მის წიგნებს, როდი იყვნენ მისი თანამგზავრები საქართველოში მოგზაურობის დროს, მისი თანამებრძოლები ფლორისათვის. ზრუნვაში, მაგრამ ყველამ ასე თუ ისე აღიქვა მისი გაკეთილები. არიან ადამიანები—თუმცა ცოტა, მაგრამ, საბედნიეროდ, არიან, — რომლებიც თავის გარშემო ქმნიან აზრისა და გრძნობის მაღალ ძაბვის ზონას და, თითოეული, ვინც ფეხს შედგამს ამ ზონაში, დიდი ხნით იმუხტება მათი ენერგიით. ესენი არიან ქვეყნიერების საუკეთესო მშენებლები—ადამიანისა და ადამიანურობის მშენებლები.

ორმოცზე მეტი საცხოვრებელი სახლი აშენა ხუთწლედის მანძილზე თბილისში ვალერიან ჭელიძის კომპლექსურმა ბრიგადამ. ასი ახალგაზრდა მშენებელი აღზარდა ბრიგადირმა. და არც ერთ მათგანს არ უღალატია მასწავლებლის პროფესიისათვის.

ისეთ ადამიანებს, როგორიც არიან თბილისის ოთხი ახალი საპატიო მოქალაქე, ქალაქი უნდა უმადლოდეს უმთავრეს ავლა-დიდებას — თავის განსაკუთრებულ კლიმატს, თანაგრძნობისა და გულთბილობის ატმოსფეროს. ასეთი ადამიანები არასოდეს არ ტოვებენ ქალაქს, მუდამ ცხოვრობენ იქ. ისინი თითქოს რჩებიან ჰაერში თავიანთი სუნთქვით, გულის ძგერით. ეს რომ არა, ზოგიერთი ძველი უბანი იქნებოდა მხოლოდ დაფუტრული ხის, გამოცრეცილი თუნუქის, დაბინდული მიწის გროვა, და დასანგრევადაც არ დაეინანებოდა კაცს. ახლა კი გული გეტკინება დანგრევაზე რომ მიდგეს საქმე. მიდიხარ დილით თავისებური ცეცაბო შესახვევით და თანდათან გრძნობ მწერლის დიდ სიმართლეს, რომელმაც ეს სასწაული დაგანახვა: „იქ, სადაც ადამიანებს ძლიერ უყვარდათ ან ძლიერ იტანჯებოდნენ, სამუდამოდაა შემონახული გრძნობების სუსტი სურნელი, თითქოს ისინი მოლიანად არ კვდებიან, თითქოს ეს ადგილები იძენენ რაღაც სულიერ მნიშვნელობას, რომელიც იდუმალად მოქმედებს მათზე, ვინც იქ ხვდება...“.

ვის ვუთხრათ მადლობა...

საბედნიეროდ, თბილისში დაიფასეს და შეიგნეს ნაკრძალი ადგილების სულიერი მნიშვნელობა. ბარათაშვილის ქუჩის შესანიშნავმა გაკეთილმა გაგრძელება პოვა კიბალჩიჩის დაკლაკნილი აღმართის უბნის რესტავრაციის გამოცდილებაში. ეს წლევანდელი თბილისქალაქობის უმთავრესი და ბრწყინვალე საჩუქარია — კიბალჩიჩის აღმართი და ქუჩა, რომლებმაც ბარათაშვილის ქუჩის პერსპექტივა დაადგიერგვინეს სახლებისა და აივნების და მათი მაღალი კლდოვანი ფუძის რთული და ამასთან ჰარმონიული წყობით. ბარათაშვილის ქუჩა დასაწყისი და ექსპერიმენტია. კიბალჩიჩის ქუჩა — გაგრძელება და ტენდენცია. ამასთან ტენდენცია, რომელიც აშკარად ასრულებს თავის სოციალურ, ზნეობრივ, კულტურულ და ეკონომიკურ მისიას.

მოდით ავუყვეთ კიბალჩიჩის აღმართს, შევიხედოთ ეზოებსა და სახლებში, გავესაუბროთ ადამიანებს, გამოვკითხოთ ზოგი რამ მათი ცხოვრებიდან.

№ 4 სახლი. ჩვეულებრივი ძველთბილისური სახლია, რომელიც რესტავრაციის შემდეგ არაჩვეულებრივი გახდა. სახლის აღდგენა და დაცვა იკისრა საწარმოო გაერთიანება „სპასმათრქმმრეწვმა“, ამხანაგებმა გაშალეს აქ მინერალების, თავისი პროდუქციის ნიმუშების ექსპოზიცია, გამოკიდეს და განალაგეს ხელოვნების ნაწარმოებები, მიუსადაგეს ოთახები საწყლიან სასტუმროს. ერთი საფუძვლიანი მეცადინეობით რამდენიმე პრობლემა გადაჭრეს.

ძველი ქალაქი არ შეიძლება მხოლოდ მუზეუმი იყოს. იგი უნდა ცხოვრობდეს, ვითარდებოდეს, როგორც ნებისმიერი ნორმალური ორგანიზმი. ამისათვის კი საჭირონი არიან ადამიანები, ეიმოთოდ ძველი ქალაქი მოკვდება. და ადამიანებიც გამოჩნდნენ — არა მარტო მობინადრეები, — და სიცოცხლე შთაბერეს მომაკვდავ ქალაქს. აი იგი, ეს სასტუმრო — გადაჭრილი პრობლემის საჩინო ნიმუში.

№ 6 სახლის აივანზე ტეტუნაშვილების მთელი ოჯახი გამოსულა. ოჯახის უფროსი გიორგი — „თბილგაზმშენის“ სამუშაოთა მწარმოებელი, მისი ცოლი ნანა, შვილები გია და ზურაბი. როცა დაიწყო უბნის რესტავრაცია შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიიღეს მშენებლობაში, შრომობდნენ სამსახურისა თუ ინსტიტუტში მეცადინეობის შემდეგ...

კიდევ ერთი სახლია კლდის წვერზე — მხატვარი გივი ყანდარელის სახელოსნო. ქალაქი იჭრება ფანჯრებში, გადადის ტილოებსა და გრაფიკულ ფურცლებზე, ირეკლება მასპინძლის ბედნიერ თვალებში...

ასეთი სახლები, როგორც ესენია, — დღესასწაულია. მთელი უბანი დღესასწაულია. თვალებს, სულს, გონებისა და გულის დღესასწაულია.

გმადლობთ! — იძახის, იცინის, ხარობს უბანი.

68 ოჯახი ცხოვრობდა აქ რესტავრაციამდე. დარჩა ნახევარი. ხალხმა მიიღო ახალი თანამედროვე ბინები, ხოლო იმათ, ვინც არ გადავიდა, მნიშვნელოვნად გაიფართოოვეს ბინები.

აი თბილისობის კიდევ ერთი შესანიშნავი გამოცდილება და გაკვეთილი. აღმართის სახლების ყველა პირველი სართული დათმობილი აქვს სახელოსნოებსა და სუვენირების ფარდულებს, მთელი ქუჩა — რკინის რიგი — გახდა ხალხურ ხელმარჯვეთა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ხელოვნების დემონსტრაციის ადგილი.

ბარათაშვილის ქუჩაზე რესტორან „მუხრანთუბნის“ ერთ-ერთ დარბაზში კიდია მეუღლეთა პორტრეტები. მათ აცვიათ გასული საუკუნის დამლევის ტანსაცმელი — მამაკაცს — სერთუკი, ქალს ახურავს ჩიხტაკოპი. ვინ არიან ისინი, ეს ჩვენი წინამორბედნი? არავინ არ იცის. თბილისის ისტორიიამ ვერ შეინახა ბევრი სახელოვანი თბილისელის სახელი, რომლებიც აშენებდნენ სახლებსა და კირწყლავდნენ ქუჩებს, ოსტატურად აჩუქრთმებდნენ ხეს და ამუშავებდნენ პატიოსან თვლებს. და რა კარგია, რომ ბევრ ახლანდელ სახელოვან საქმეს აქვს სულისჩამდგმელთა, წამომწყებთა, ავტორთა კონკრეტული სახელები! რა კარგია, რომ ცნობილი არიან ადამიანები, რომლებმაც მოიგონეს მარიონეტების თეატრი და ფოლკლორული თეატრი, მეტეხის პლატოზე ძველი სახლები გადააკეთეს სასტუმროდ, ძველებური საოჯახო ნივთები მოძებნეს ახალი თბილისური მყუდრო კერებისათვის...

მადლობა იმათ!

სულ ეს ჰექტარს შეადგენს თბილისს ნაკრძალი ნაწილი. სულ სამი ათას შენობას დაწესებული აქვს სახელმწიფო დაცვა. თბილისქალაქობის დღესასწაულ ი აფართოებს მათ მიმართ ჩვენი ყურადღების ზონას, ზრდის ხალხის საზრუნავ ტერიტორიას.

მადლობა მას ამისათვის!

მეტეხიდან ზღვამდე

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. ეს-ეს არის მიწელდა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნების საზეიმო ჰანგები, და, თბილისს მრეწველობის მუშაკთა პატივსაცემად, რომელმაც ვადამდე დაასრულეს ხუთწლეული, ანძაზე აფრიალდა რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა, მაგრამ შეკრებილნი დაშლას არ ჩქარობდნენ. ისინი გაეშურნენ ჩრდილოფანი ხეივნებისაკენ, სადაც ასფალტს, თითქოს მოლბერტიაო, ცარცით გაეთხუპნული ბავშვები დასტრიალებდნენ, ისინი ახლახან დამთავრებულ ზრომის დღესასწაულს ხატავენ. ცხრა წლის თეონას ლურჯი ცის ფონზე წითელი დროშა დაეხატა, შვიდი წლის გიას — ქარხანა, ექვსი წლის ელგუჯას — დღესასწაულზე მოსული დედ-მამა, სურათებს სახელწოდებები არ ჰქონდათ, და არც იყო საჭირო, რადგან ისედაც გასაგები იყო, რომ ბავშვების ნახატებში შრომა, მზე და მშვიდობა სუფევდა.

— ბავშვის მეხსიერება ღრუბელივით ისრუტავს შთაბეჭდილებებს, — ყურადღებით აკვირდება ნახატებს სოციალისტური შრომის გმირი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, — დარწმუნებული ვარ, დღეს ნანახი სამარადჟამოდ დაახსომდებათ პატარებს. ისინი ამაყობენ თავიანთი მამებით და ცდილობენ მათი მსგავსი იყვნენ და თუ ასეა, ამაოდ არ გვიცხოვრია.

ახალდაქორწინებულთა ხეივანი. მარინე მარუაშვილი ახმეტელია, თამაზ მატარშვილი — ადიგენელი. ერთმანეთს თბილისში შეხვდნენ, აქვე შეუყვარდათ ერთმანეთი: მარინე და თამაზი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები არიან.

— დღეს ორმაგი დღესასწაულია გვაქვს, — თქვა მარინემ, — ჩვენი ქორწინება და თბილისობა — ეს დამთხვევა გვახარებს, ჩვენნაირი დიდი ქორწილი ალბათ არავის არ ჰქონია.

დღესასწაულზე პირდაპირ ქორწინების სასახლიდან მოსულ მაყრიონს, ასობით თბილისელი და დედაქალაქის სტუმარი შეეგება, რათა ბედნიერება და სიმტკიცლობა ესურვებინა მარინესა და თამაზისათვის, ყველასათვის, ვინც ამ დღეს შექმნა ახალი ოჯახი.

— არ ვიცი, სად მოვხვდებით მე და მარინე ინსტიტუტის შემდეგ, — ამბობს თამაზი, — მაგრამ სადაც უნდა ვიყოთ, თბილისი სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში შმობლიურ, თბილ ქალაქად, რომელმაც ერთმანეთს შეგვყარა; ქალაქად, სადაც ახდა ჩვენი სანუკვარი ოცნება — გავხმდარიყავით ექიმები.

თბილისის იპოდრომი, თუშურ-ქუდიანი ბიჭუნა ხარებშებმულ ურემზე შესუკუბენლიყო: მოწოფული ვაჟკაცივით იქცეოდა, დინჯად, აუჩქარებლად საუბრობდა, ყველ სიტყვას სწონდა.

— ვის მინდა ვგავდე?— შეგვიბრუნა შეკითხვა შვიდი წლის საგურამოელმა ყმაწვილმა თამაზ ჩიხაშვილმა. პასუხი შეგვიგვიანა: ვიღაცას ეძებდა იპოდრომის ბილიკზე, ხოლო როცა იპოვა, დაბეჯითებით განაცხადა: „აი ამას!“.

ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს“ გვეკრდინ, მთელი თავისი ორდენებით მკერდდამშვენებული იდგა ზუგდიდელი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვალერიან მეუნარგია. მისმა რგოლმა წლეულს რეკორდული მოსავალი . — 805 ტონა ჩაი მოკრიფა. პატარა თამაზმა არ იცოდა მანქანის დანიშნულება, მაგრამ აღფრთოვანებული იყო მექანიზატორით, რომელმაც მის თვალწინ მოაგრიალა იგი იპოდრომზე და ასე ადვილად მართავდა.

ალბათ, სწორედ პირველკლასელისა და წარჩინებული მშრომელის შემთხვევითს შეხვედრას უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ ბიჭუნამ მისაბაძად მეჩაიე აირჩია.

მისი ურემი სადღესასწაულო კოლონის შუაგულში რომ აღმოჩენილიყო, მაშინ მას ასევე აღაფრთოვანებდა აბაშის რაიონის სოფელ ქოლობნის მექანიზატორი, მრავალი ორდენის კავალერი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტიტიკო ახობაძე, რომელსაც კ-700 მძლავრი საწევარი ემორჩილება, ბიჭუნა გულგრილად ვერც გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთის მკვიდრს, ორდენოსან გიორგი თემურაზიანს აუვლიდა გვერდს, რომელმაც მიმდინარე სეზონში თავისი უახლესი სათიბელათი 1.200 ტონა თივა დაამზადა.

ამ უმძლავრესი ტექნიკის შემხედვარეს, რომელიც ამ დღეს თბილისის იპოდრომზე გამოეფინა ქართულ სოფელს, თამაზს სხვა არჩევანი ვერც ექნებოდა. იქნებ სწორედ აქ ჩამოუყალიბდა სოფლელ ბიჭუნას საბოლოოდ ოცნება— „მექანიზატორი ვიქნებიო“.

აქ შეკრებილ თბილისელებს კი კიდევ ერთხელ მიეცათ შესაძლებლობა, დარწმუნებულიყვნენ, რაოდენ გიგანტური ნაბიჯი გადადგეთ ურმიდან თანამედროვე მანქანებამდე. წლეულს რესპუბლიკის მექანიზატორებმა 15 მილიონი საეტალონო ჰექტარი დამუშავეს.

ქართული ხალხური არქიტექტურისა და ყოფა-ცხოვრების მუზეუმი. აქ, კუს ტბის თვალწარმტაც მიდამოებში რესპუბლიკამ თავი მოუყარა თავის მომღერლებს, ხალხურ მთქმელებს, ხელმარჯვე ოსტატებს.

მაინც, რამდენი გვყოლია! რა მდიდარი ვყოფილვართ! ქალაქ მანავაძის ეთნოგრაფიულმა ანსამბლმა, რომელსაც ხალხური სიმღერების განთქმული მცოდნე ლადიკო ერქომაიშვილი ხელმძღვანელობს, მრგვალოდოვა თავისი ხელოვნებით. სცენაზეა თბილისელ გიორგი ჯულაყიძის ოჯახი. მასთან ერთად მღერიან მისი ცოლი და სამი შვილი. „ჩემმა სამშობლოვ, დავეწიფები შენი სიცოცხლის წყაროს“— შთაგონებულად ყღერდა სცენაზე დუშეთის რაიონის სოფელ მაღაროსკარის ხალხური მთქმელის ნინო ქრისტაურის ლექსები, დღეს ეროვნული ფოლკლორის მარგალიტად რომ იქცა.

პოეტურ პაექრობაში მონაწილეობდნენ დუშელი და თიანელი, ახმეტელი და მესტიელი, სამართველოს სხვა რაიონებიდან ჩამოსული მთქმელები.

თბილისის ზღვა. ლამაზად მორთული იახტების ესკორტის თანხლებით ზღვაში შეცურდა კატერა. როცა შუა ზღვაში შევიდა, წყალში გვირგვინი ჩაუშვეს. ეს იყო ხსოვნის გვირგვინი, რომელიც მაღლიერმა თამამმავლებმა მიუძღვნეს რევოლუციონერებს, მართალი საქმისათვის რომ გასწირეს სიცოცხლე. აქ მოდიოდენ ისინი თავიანთ შეკრებებზე, აქედან გაისმოდა მათი მგზნებარე მოწოდებანი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რიყის მოედანი და მეტეხის პლატო. იგი თბილისის ქუჩაზე ცხოვრობს, მაგრამ თბილისის სტუმარია. სტუმრებს მასპინძლობდა აფხაზური ფაცხასთან, მანდარინის ხეთა ჩრდილში. აქ, თბილისში ჩაიარა 83 წლის გუდაუთელი დავით აიბას კომკავშირულმა საქმაუკემ, აქ სწავლობდნენ მისი შვილები და შვილიშვილები.

— ყოველთვის სიხარულით ჩამოვდივარ თბილისში, — თქვა დ. აიბამ, — ამ ზეიმობაზე კი გნსაკუთრებული გრძნობით მოვდიოდი. ჩვენ ხომ ერთი მიწის შვილები ვართ, და რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან აქ შეკრებილნი გაგვიერთიანა ერთმა სიყვარულმა საქართველოსადმი, მამა-პაპათა ნაანდერძევმა მეგობრობამ.

დღესასწაულია ამ რაჭულ ოჯახშიც. ამბროლაურელმა ჰარმენ მარგველიძემ, მისმა ცოლმა, სამმა ვაჟმა, ორმა ქალიშვილმა, რძლებმა, სიძეებმა ფართოდ გაგვიღეს სახლის კარი. სამოცდაექვსი წელი შეალია ოჯახის მეთაურმა ვენახს. წელს მან ყოველ საკოლმეურნეო ჰექტარზე 65 ცენტნერი ყურძენი მოიწია — ეს რეკორდია უნიკალური ჯიშების „ალექსანდროულისა“ და „ოჯუჭურთულისათვის“.

რიყეში სიმღერა ყღერს, რომელშიც ერთმანეთში გადაჭდობილია ასი წლის აფხაზ მოხუცთა და მცხეთელ პიონერთა ხმები. გურული „ორმანეული“ და ოსური „ვარაიდა“... და ყველაფერი ეს ერწყმის მრავალხმოვან სიმღერას — ბედნიერი რესპუბლიკის სიმღერას, რომელიც თავისი დედაქალაქის დღესასწაულს აღნიშნავს.

სიტყვა საპატიო სტუმრებს

თინათინ ასათიანი,

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სომხეთის სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. ერევნის საქალაქო საბჭოს დეპუტატი

— თბილისობა ჩემთვის უფრო მეტია, ვიდრე დღესასწაული. ეს ნათელი და დაუვიწყარი მოვლენაა. ყველაფერი, რაც კი აქ ვნახე, ვიგრძენი, გულში მომხვდა. ვამაყობ ჩემი თბილისით. მადლობა შენდა, საყვარელო ქალაქო!

გიორგი დანელია,

კინორეჟისორი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ორი თვის წინათ ვიყავი თბილისში და, როგორც ყოველთვის, ფეხით მოვიარე ჩემთვის ძვირფასი ადგილები. მაგრამ ის, რაც დღეს აქ ვნახე, ყოველგვარ ქებას აღემატება. თავიანთი წარსულისა და აწმყოსათვის ზრუნვა შეუძლიათ მხოლოდ ადამიანებს, რომლებსაც უსაზღვროდ უყვართ თავიანთი ქალაქი. მსოფლიოს ბევრ ქალაქში დავსწრებივარ ღღესასწაულებს, მაგრამ, გარწმუნებენ, თბილისობამ ყველანი დაჩრდილა.

ალბერტ თაგხელიძე,

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

— თბილისელებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ კარგი გარჯაც იციან და კარგი დასვენებაც. მათ შეუძლიათ იამაყონ თავიანთი დიდებული დღესასწაულით. მეტ ასეთ მზიურ დღეებს ვუსურვებ შესანიშნავ ქალაქს.

გაგაკენ ნერსისიანი,

ერევნის გ. სუნდუკიანის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი

— თბილისობა ნამდვილად სახალხო დღესასწაულია. როცა თქვენთან სტუმრობისათვის ვემზადებოდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რამდენად ლამაზი და შთამბეჭდავი სანახაობის მოწმე ვიქნებოდი, რომელიც გამსჭვალულია ჩემი მშობლიური ქალაქის განუმეორებელი კოლორიტით. ხელახლა დაბადებამ რომ მომიწიოს, კვლავ თბილისში დაბადებას ვისურვებდი: მიყვარხართ, ძვირფასო თანამემამულენო!

მიხეილ ჯავლიანიძე,

პოეტი (მოსკოვი)

თბილისს

მინდა გიმღერო ქება,
მინდა გიმღერო „ჩემო“,
ვერ დამავიწყეს წლებმა
შენი ჰაერის გემო.

შენი მთაწმინდის კალთა,
გადასახედი წყნეთის,
შენი კუკია, სადაც
დამრჩა საფლავი დედის.

შენი ვაკე და ვერა,
მტკვარი—ქამარი ვიწრო,
შენი მოსახლე ყველა,
ვისაც ღიმილზე ვიცნობ..

ჩემო საუნჯევ ფიქრთა,
შენზე სიმღერას ვბედავ,
შორს გადახვეწილ შვილთა
მოსიყვარულე დედავ!

ხვალამდე,

თბილისობაგ!

იგი როდი მიდის, როდი გვტოვებს — ეს დაუვიწყარი დღე. იგი ჩვენთან რჩება თავისი ხმებით, ფერებით, შთაბეჭდილებებით და აღმოჩენებით. ერთი მთგანი ის არის, რომ ყველაფერს შევძლებთ, თუ მოვინდომებთ. მოვინდომეთ და შევიკრიბენით ერთად, ერთ ქალაქად, ერთ ოჯახად, ერთ რესპუბლიკად. და ვიგრძენით, რამდენად ძლიერი და მდიდარი ვართ. და ოდითგანვე ცნობილი ცნებები რაღაც უხილავი სიახლით აელვარდა.

1979 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემებით, თბილისი 96 ეროვნების წარმომადგენელთა მშობლიური კერაა. ეს ციფრი, რომელიც რაღაც განყენებულად წარმოგვიდგება, ჩვენს თვალწინ გაცოცხლდა დღესასწაულზე კონკრეტული სახელებით, სახეებით, ბედით, საქმეებით. და ყველაფერი, რასაც ჩვეულებრივ მეგობრობასა და ძმობას ვუწოდებთ, წარმოგვიდგა ქმედით და უნარიან ძალად, რომელსაც სასწაულების მოხდენა შეუძლია.

თბილისობა — გულთა ერთიანობის დღესასწაული, ერთ-ერთი ასეთი სასწაული.

* * *

დღესასწაული, რომელმაც თბილისელებსა და მთელ რესპუბლიკას ამდენი დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოუტანა, გახდა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა იმ მზადყოფნის დათვალიერება, რომ შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებები. იგი გახდა ხალხის ენერგიისა და ოსტატობის, ნიჭისა და შთაგონების დემონსტრაცია, რომლებიც ესოდენ მკაფიოდ და სრულად ვლინდება ახლა, სკკპ XXVI ყრილობისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის XXVI ყრილობისათვის, საბჭოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადების პერიოდში. (საქინფორმი).

ᲕᲘᲡ ᲠᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲐᲥᲕᲡ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეცხრე ტურის კვირას გამართული მატჩების შედეგები ასეთია: „კარპატი“-„შახტიორი“—1:0, მინსკის „დინამო“-„უკუბანი“—2:0, „ზენიტი“-„არარატი“ — 5:3, „სპარტაკი“-„ნეფთჩი“ — 3:0, ასკ-„ჩერნომორეცი“ — 0:0, მოსკოვის „დინამო“-თბილისის „დინამო“ — 1:1. გუშინ გაიმართა ამ ტურის ბოლო მატჩი. „ლოკომოტივმა“ მიიღო გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი კიევის „დინამო“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ამ ტურის მატჩებიდან თბილისის „დინამოს“ ქომაგთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ორი შეხვედრა: თბილისის „დინამო“-მოსკოვის „დინამო“ და „ზენიტი“-„არარატი“. ცხადია, ეს ინტერესი თბილისელთა და ლენინგრადელთა სპორტზო ადგილებისთვის ბრძოლაში უშუალო მეზობლობამ განაპირობა. ერთსაც და მეორესაც სურს დაიკავოს ის ერთადერთი სპორტზო ადგილი, რომელიც ამ გუნდებს საპაჭროდ დაუტოვეს ჩემპიონატის კვარცხლბეკის უფრო მაღალი საფეხურებისთვის რეალურად მებრძოლმა კოლექტივებმა — კიევის „დინამომ“ და „სპ